

ტაცხასი

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

№ 3 (22)

მ ა რ ტ ი 1939.

№ 3 (22)

შ ი ნ ა რ ს ი :

- ჰ. ბამატი — ახალი კომბინაციები ცენტრალ ევროპაში
 ჸ. ავალიშვილი — შვეიცარული ჰანგები კავკასიური სალამურით
 რ. გაბაშვილი — თვალით ბრძა — ჭკუით ხედავსო, ჭკუით ბრძა —
 თვალითაც ვერა ხედავსო
 შ. ამირეჯიბი — მავნე წიგნაკი
 ი. გვარამაძე — † დავით და გიორგი ძმ. ჩხეიძენი
 " " — გრ. ნაღარეიშვილი
 ღ. სალირაშვილი — ნაციონალ-სოციალიზმის „რეაქციონურობაზედ“
 ვლ. ემუსვარი — მაგალითისათვის
 ჸ. ციციშვილი — ლეგენდა
 ს. ურუშაძე — ახალის არსი და წარსულის გაკვეთილები
 გ. კახაბერი — ნოემბრის კრება
 — პრესსა
 რაე — ომის პარადოქსი
 მოგზაური — ქართული სპორტი საფრანგეთში

ახალი კომბინაციები ცენტრალ ევროპაში

სწორედ ერთი თვის წინად ჩვენ აღვნიშნავდით გაკვირვებით, რომ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, გართული ისპანიის სამოქალაქო ომის დრამით, საკმარის ყურადღებას არ აქცევს. ცენტრალ ევროპას.

„მაშინ როდესაც, — ვწერდით ჩვენ — სდულს გაცხარბული მუშაობა, რომლის შედეგები მალე გამოჩენდება“.

მოვლენებმა — და როგორმა მოვლენებმა — არც დააგვიანეს... ევროპის რუკა თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება...

10 მარტს პრაგამა სკადა სახელმწიფოებრივი გადატრიალება ბრატისლავაში, გადააყენა მთავრობის თავმჯდომარე ტისსო და და ატუსალა სლოვაკელი ცნობილი პატრიოტები პროფ. ტუკა და სანო მახა, და — 15 მარტს ჩეხო-სლოვაკიამ განუტევა სული, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

ამ ხუთი დრამატიული დღის განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომელმაც აიძულა ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტი გახა და საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი 14 მარტის ღამეს ეთხოვათ გერმანიის ფიურერისათვის — ხელთ აეღო ბედი მათი ქვეყნისა.

ჩეხო-სლოვაკიის ასეთი ფორმალური მიმართვის გამო, გერმანიამ პროტექტორატის ქვეშ აიყვანა და თავისი ჯარებით დაიჭირა ბოჭე-მია და მორავია.

16 მარტს სლოვაკიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და სთხოვა მფარველობა ფიურერსა და დიდი გერმანიის კანცლერს.

ამავე დროს უნგრეთი შევიდა კარპატების უკრაინაში და ბრძო-ლით გაიარა მისი ტერიტორია პოლონეთის საზღვრამდე.

ოცნება საერთო პოლონურ-უნგრულ საზღვრის შექმნისა ფაქ-ტად იქცა.

მაგრამ საეჭვოა, რომ ევროპის შეცვლილ პოლიტიკურ გეოგრა-ფიაში ამ საზღვარმა ითამაშოს როლი, მისთვის დაკისრებული ვარშა-ვაში, — „მესამე ევროპის“ ავტორებისაგან. მარტო გერმანიის თვალის დახუჭვამ მისცა საშუალება უნგრეთის მთავრობას — საუკუნოებით კუთვნილ კარპატის უკრაინის შემოერთებისა წმ. სტეფანს გვირგვი-ნისათვის და მიღწევა ისტორიულ საზღვრებამდე.

მაგრამ ბუდაპეშტის სარევიზიო გეგმები არ კმაყოფილდებიან უნაყოფო კარპატების ფერდობებით. ტრიანონის „დიქტატმა“ მოსწ-ყვიტა უნგრეთს ასიათასობით მისი შვილი, დღესაც მგმინავი უცხოე-ლების ულელში და წმ. სტეფანეს გვირგვინს ჩამოაცალა უფრო ძვი-რთასი მიწები.

მარტო გერმანიის დინამიურ პოლიტიკას ევროპის სამხრეთ-აღ-მოსავლეთში და ბერლინის აქტიურ დახმარებას შეუძლიან შექმნას პირობები, როდესაც უნგრელთ შეეძლოთ განალდება ეროვნული მი-სწრაფებებისა.

ამიტომ, ჩვენა გვგონია, რომ უნგრეთის გზა, ნაჩვენები მისი გეოგ-რაფიით, ეკონომიკით და უმთავრესად ეროვნული ამოცანებით — უკ-ვე ამორჩეულია და ამორჩეული გადაჭრით.

ამიერიდან, ძნელი საფიქრებელია ვინმებ გადიბიროს სხვანაირ პოლიტიკურ კომბინაციაში.

**

მიუნხენის შემდეგ, ჩეხო-სლოვაკია თითქო შეურიგდა თავის ბედს, რაკი, საფიქრებელი იყო, რეალურად შეაფასა თავისი გეოპო-

ლიტიკური მდგომარეობა. მაგრამ უკვე იანვრიდან ფედერაციის „ცენტრალ მთავრობაში“ აღმოჩნდა ძველი, ბენეშური იდეების გავლება. სლოვაკიასა და კარპატის უკრაინასთან დამოკიდებულობა დაიჭიმა. ბოჭემიასა და მორავიაში ურთიერთობა გამწვავდა ჩეხებსა და გერმანელებს შორის. ბერლინსა და პრაგას შორის გაუგებრობანი ისე გახშირდა, რომ მათ გასაფანტავად საგარეო საქმეთა მინისტრ ხვალკოვსკის უკვე იანვრის შუა რიცხვებში დასჭირდა ჩასვლა ბერლინში. ამის შემდეგ თითქმ მიწყნარდა უთანხმოება ჩეხებსა და გრმანელთ შორის. მაგრამ მკაცრმა პოლიტიკამ სლოვაკიისა და კარპატის უკრაინის მიმართ ჩეხელ მეგალომანებისამ — კვლავ საბაბი წარმოშვა უკანასკნელი დრამის გასათამაშებლად.

პრაგამ ვერ შეაფასა სისწორით, მიუნხენის შემდეგ ევროპაში დამყარებული ჰავა: სტოიადინოვიჩის მთავრობის ჩამოვარდნა იუგოსლავიაში, რომელიც ჰელისხმობდა მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობას გერმანიასთან; უნგრეთში მოსვლა ტელეკის მთავრობისა, რომელიც ვითომ გერმანიის მომხრედ არ ითვლება და სხვ. — ყველა ამან შეჰქმნა შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა გაძლიერება ისეთი სიჩქარით მიდის, რომ მკაცრად შესწყვეტს გერმანიის გავლენის გავრცელებას სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპაში.

ასეთი შთაბეჭდილება გააძლიერა უკანასკნელმა დარბაზობამაც რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრ გაფენკოსი ვარშავაში.

სიმართლე უნდა ითქვას, მისი სიტყვა პოლკოვნიკ ბეკის ბანკეტზე არ იყო ჩვეულებრივად უფერული ოფიციალურობის ნიმუში, არამედ ნათელი და მკაფიო აღნიშვნა, თუ „პოლონეთი და რუმინია როგორ მოწოდებულნი არიან თამამად გაჰკაფონ დიდი ევროპიული გზა ბალტიის ზღვიდან შავსა და სამხრეთის ზღვებამდე“.

1938 წლის ღვინობისთვიდან, როცა მეფე კაროლი გამოვიდა წინააღმდეგ უნგრეთ-პოლონეთის საერთო საზღვრისა, ბევრმა წყალმა ჩაიარა... განუხორციელებელმა ოცნებამ — „მშვიდობიანობისა და ნეიტრალიტეტის ღერძზე“, ე.ი. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სახელმწიფოთა ბლოკის შექმნა, რომელიც შეაჩერებს გერმანიის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ და რუსეთისას — დასავლეთისაკენ, — ამ სანად დიდი პროგრესი გააკეთა. მოიპოვა არა მარტო რუმინიის თანაგრძნობა, არამედ ლონდონისა და პარიზისაც.

ასეთ პირობებში გაფენკოს დეკლარაცია სასიამოვნო ჰანგად უნდა ჩასწვდენოდა პოლკოვნიკ ბეკის გულსა, მაგრამ, ეტყობა, სულ სხვანაირად იყო მიღებული რუმინიის მინისტრის აგზნებული სიტყვა — ბერლინში...

**

რამდენადაც უნდა სცდილობდეს მოსკოვი და მობოლშევიკო პრესსა, დაარწმუნოს ევროპა, რომ ვერაგი გერმანია მხოლოდ თვალის ასახვევადაა ვითომ დაინტერესებული უკრაინით და სინამდვილეში

კი ემზადება საფრანგეთისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ, — არც ერთს იბიექტიურ მეთვალყურეს არ შეუძლიან არ დაინახოს გერმანიის პოლიტიკური ზრახვები.

ეს ზრახვები ნაკარნახევი გეოგრაფიისა და ეკონომიკის გარდუვალ კანონებით, არც ერთი ბეჭვით არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც პიტლერმა ციხის მიყრუებულ საკანში დასწერა მისნური სიტყვებით: „ჩვენ ვაჩერებთ მუდმივ სვლას გერმანელებისას ევროპის სამხრეთით და დასავლეთით და... მომავლის ტერიტორიალურ პოლიტიკას ვალიარბთ-ვეძებთ რუსეთსა და მის მიღამოებში“...

ავსტრიისა და სუდეტების შემოერთება, ბოჭემიისა და მორავიის დაჭერა, ვერა სწყვეტს გერმანიის სასიცოცხლო ამოცანებს. პირიქით, აძნელებს: ამ ინდუსტრიალურ და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნების შემოერთება, რითაც გერმანიის მოსახლეობა აღის 86 მილიონამდე, — დიდი რეიხის წინაშე აყენებს უფრო მძაფრად ძველ საკითხს — აღმოსავლთისაკენ გაფართოებისას. ბოჭემიისა და მორავიის შემდეგ, უმეშვეოდ მემელის შემოერთება ამის მკაფიო მოწმობაა.

ეჭვი არაა, გერმანია არ გაჩერდება შუა გზაზედ, ყველანი მხოლოდ იმის ძიებაში არიან, თუ ვინ იქნება მორიგი ეტაფი გერმანიის ექსპანსიისა.

„საეჭვოა — სწერს პარიზის „ტან“ი (20 მარტი 1939 წ.), — რომ გერმანიის ჰეგემონიის პოლიტიკა შეჩერდეს ბოჭემიისა, მორავიისა და სლოვაკიის ოკუპაციაზედ. ამ შემთხვევაში ასეთი პოლიტიკა ჩიხში აღმოჩნდებოდა. პირიქით, ყველაფერი იმას ამტკიცებს, რომ გერმანიის ვრცელ გეგმაში, მხარეები მოქცეულნი მისი პროტექტორატის ქვეშ, — მხოლოდ გზა და ხიდია, რომელიც სწრაფად დაუახლოვებს გერმანელ ძალებს — რუმინიას. ბუნებრივი სიმდიდრე ამ ქვეყნისა, მისი სიმრავლე პირველსაჭიროების საგნებისა, წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს გერმანულ ეკონომიკისათვის და უზრუნველჰყოფს მისთვის, თუ საჭირო გახდა, — ხანგრძლივი ომის წარმოებას“ა.

ფრიად განთქმული ინგლისელი უურნალისტი, ვიკემ სტიდი, გაზ. „ტაიმს“ის ყოფილი რედაქტორი, დიდი მეგობარი ჩეხიისა და სერბიის, — აგრეთვე სწერს 17 მარტის „გაზეტ დე ლოზან“ში, რომ შემდეგი ეტაფი იქნება რუმინია. ამასთანავე ვიკემ სტიდი უმატებს და იმოწმებს ცოტა საეჭვო დოკუმენტს (მოხსენებას, 1936 წლის დაბაწყისში მირთმეულს, — გერმანიის მოსკოვურ საელჩოსთან მივლინებულ სავაჭრო აგენტისას, თავის უფროსისადმი ბერლინში), რომ რუმინიის ნავთისა, პურისა და ტყეების კონტროლი — მხოლოდ ეტაფია გერმანიის ექსპანსიის ძირითად მიზნისაკენ.... რომელიც რუმინიის აღმოსავლეთითა ძევსო...

უახლოესი თვეები, იქნება კვირეებიც, გვაჩვენებს თუ რამდენად საფუძვლიანია ასეთი პროგნოზები და როგორი იქნება რეაქცია დასავლეთ სახელმწიფოებისა.

ყოველ შემთხვევაში, ევროპა კვლავ აწრიალებულია.

ჰაიდარ ბამატი

შვეიცარიული ჰანგები კავკასიური სალამურით

ყველანი ვიმეორებთ ხალისიანად: ვიყვნეთ როგორც შვეიცარია. და მართლაც, კავკასიელ ინტელიგენციაში, რომელსაც ზოგს გამოცდილი, ზოგს გაგონილი აქვს რაღაცა უენევაზედ, ბერნზედ, ციურიხზედ და იქაურ წესწყობილებაზედ, დიდი ხნიდან მოდაშია და დღესაც აზრი, რომ სასურველია — მომავალში, ამის შემთხვევა თუ გვექმნა, — კავკასიის ერთა პოლიტიკური ურთიერთობა მოეწყოს შვეიცარიის თარგზედ. ამასთანავე წარმოდგენილია ახალი „ჰელვეტიური კონფედერაცია“, ალპების მაგიერ ძლიერი კავკასიის ქედით ხერხემლად და იქ მშვიდობიანი ცხოვრება და გაფურჩქვნა ერების, ენების, „ტომების, კილოკავების და სხვ“.

ეს ოცნება მშვენივრად გამოხატავს სამშობლოსადმი სიყვარულსაც, რომელსაც ყველანი უსურვებთ სიკეთეს, პატივისცემასაც სხვებისადმი, ცივილიზაციის წინაშეც და სევდასაც საკუთარ უბედურება-სა და უბედობაზედაც.

აქედან გასაგებია ჩვენი შვეიცარული გუნება, მტკიცედ ჩართული ჩვენს მსჯელობაშიაც.

მაგრამ მაინც საჭიროა გავერკვეთ ამ ჩვენს გულწრფელ, მაგრამ ცოტა მიამიტურ გატაცებაში... იქნება ეს მხოლოდ მირაჟია, მიუხედავად ზოგიერთი გარეგნული მსგავსებისა შვეიცარიისა და კავკასიის პირობებში?

ვჩქარობ დავამშვიდო მკითხველი: არავითარი უბედურება არც ჩვენთვის, არც კავკასიისათვის არ იქნება იმაში, თუ შვეიცარიის ნიმუში არ გამოადგება კავკასიას, როგორც მთლიან ერთეულს. ერთი ცრუმორწმუნოებით ნაკლები იქნება და ეს არც ისე საშიშია. ამასთანავე, ეს შეუფერებლობა ეხება მთლიან კავკასიას და არა მის ცალკე ნაწილებს.

ამას კვლავ დაუბრუნდებით.

პოლიტიკური თვალსაზრისით, არსებობს ძირითადი განსხვავება შვეიცარიასა და კავკასიას შუა. განსხვავება იმაშია, რომ პირველი მუდამ იყო და დღესაც არის ქვეყანა ცალკე კანტონებისა და სხვა და სხვა სახე მათი კავშირისა, ცნობილი ისტორიულად, უბრალო „შეფიცვიდან“ — თანამედროვე ფედერაციამდე, იყო კავშირი სწორედ კანტონებისა, რომელნიც ინახავდნენ თავისებურობას და არა კავშირი სხვა და სხვა ერებისა. კავკასიაში კი ჩამოყალიბდნენ ისტორიულად და ეხლაც არსებობენ სწორედ ცალკე ერები, თუნდაც შედულების სხვა და სხვა საფეხურზე დგომით. ერები, ამასთანავე საკმარისად გა- ყოფილნი ტერიტორიალურადაც.

სულ სხვაა, საკითხი, თუ ამ კავკასიელი ერების განვითარება მომავალში, ერთეულში თუ არა, მჭიდრო ერთობაში, — როგორ შეიძლება განხორციელდეს. რად ისმება საკითხი ასე და როგორ შეიძლება ამის გადაჭრა, ამ რთულ თემას შეიძლება აქ არ შევეხოთ ჯერა. საკმარისია აღვნიშნოთ, გაკვრით მაინც, რომ კავკასიაში სდგება საკით-

ხი, რამდენიმე ერის, ცოტად თუ მეტად ორგანიზაციულად ერთად ცხოვრებისა; შვეიცარიაში კი კანტონების კავშირით, შეიქმნა ცალკე ერი, ერთი, შვეიცარული ერი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შვეიცარული კონფედერაცია, რომელმაც განითქვა სახელი ომებით გერმანიის იმპერიასთან, ბურგუნდიის მთავართან და სხვებთან, რომელიც საშუალო საუკუნოების ბოლოს და შემდეგაც შიშსა ჰგვრიდა მეზობლებს თავისი ქვეითა ჯარით, — შექმნილი იყო მხოლოდ გერმანელ „სეპარატისტების“ ხელით და იყო კავშირი ეროვნულად ერთნაირი და არა სხვა და სხვა ნაწილებისა, სახელდობრ გერმანული. ამ ერთობაში შესვლა ფრანგულ მიწებისა და ქალაქების, როგორც უენევა და სხვ. ან იტალიურისა, რომელთაც შეადგინეს ტესსინი, — მოხდა შემდეგ.

საერთოდ, თვით შვეიცარიის შექმნის პროცესიდან კავკასიას გაუძნელდებოდა რაიმე გაკვეთილების აღება.

შვეიცარია შეიქმნა ძირეულ ბირთვის, უძველეს გერმანულ კანტონთა კავშირის გარშემო. ეხლაც, უმრავლესობა გერმანული წარმოშობისა არის. კავკასიაში კი, როგორც ცნობილია, ეროვნული ურთიერთობა სულ სხვანაირია. იყო, მართალია, ისტორიაში ხანა, როცა არსებობდა ერთობა კავკასიის სხვა და სხვა კუთხის, ენისა და სარწმუნოების — ქართული ლერძის გარშემო, XI — XIII საუკ. ბაგრატიონების ლვაწლითა და შეგნებული ნებით, ე.ი. მონარქიული სისტემით; მაგრამ ეს ვითარება შეწყდა სხვა და სხვა მიზეზით. იგი შეიცვალა უკულმა მსვლელობით: თვით საქართველოს რლვევით, რამაც გზა გაუხსნა, კავკასიის შემოკრების მაგიერ, უმეტეს დაშლილობას, დაპყრობას და დაქუცმაცებას. ასეთმა მდგომარეობამ წინადაც და განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში გამოიწვია ძლიერი აღგილობრივი წინააღმდეგობანი, რამაც ხელი შეუწყო რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში. უკანასკნელმა გარემოებამ მოსპონ მრავალი პოლიტიკური ერთეული, რომლებიც შალგენდნენ კავკასიის მხარეს. ასე გადათარცხულ ნიაღაგზე აღმოცენებული ეროვნული მოძრაობანი, ნაწილობრივ თუ იკვებებოდნენ ისტორიული ძირებისაგან, რომელნიც გადარჩნენ რუსეთის გამანადგურებელ ცდებსა. დანარჩენში ეს მოძრაობანი მისდევდნენ ჩვეულებრივ სქემას, ე.წ. დამორჩილებულ ერთა მოძრაობისას და იღებდნენ ფორმებს ეროვნულ, პოლიტიკურ მოთხოვნილებებისას, მიუხედავად რუსეთის მთავრობის მუდმივი ცდისა — წარმოედგინა კავკასია თავისათვის და სხვებისათვისაც, როგორც ეროვნულად უსახო „ტომებისა და აღგილების“ კრებული.

1917 და მომდევნო წლების ამბებმა ნათელჲყვეს სრული შეცდომა ასეთი შეხედულობისა. მაშინ დაარსებულ კავკასიურ რესპუბლიკებმა, ვერ გაიმარჯვეს ბოლომდე პოლიტიკურად, მაგრამ მოწმობდნენ ეროვნულ აღორძინებას. ეს რესპუბლიკები განაგრძობენ არსებობას საბჭოთა ულლის ქვეშ — თეორიულად და იურიდიულად მაინც; სახელდობრ სამი კავკასიური სახელმწიფო, მოკავშირე რესპუბლიკათა

სახით და ჩრდილო კავკასიის სხვა და სხვა ნაწილი, — ავტონომიურ ერთეულებად საჭიროა რუსეთის შემადგენლობაში.

ეს უკანასკნელი გარემოება, რომ თიელი ხალხები მოქცეულნი არიან ს.ს.ს.რ.-ის სქემაში, არა როგორც მთლიანი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკა, როგორც მაგალითად საქართველო, ადერბეიჯანი ან სომხეთი, არამედ როგორც ცალცალკე ავტონომიური ერთეულები, — აშკარად თვალში გეცემათ. ეს ნაწილობრივ მაინც აიხსნება იმით, რომ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკამ ვერ მოასწრო კონსოლიდაცია და თავიდგანვე უარეს პირობებში იყო, ვიდრე სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები, თუმცა საორგანიზაციო მუშაობისათვის არც სამხრეთის პირობები იყო მეტად ხელსაყრელი.

როგორც უნდა ყოფილიყო, ჩრდილო კავკასიის ტერიტორიალური დაყოფა — ალბად დროებითი — უნდა დაუკავშირდეს დღევანდლამდე არსებულ დაყოფასაც, ენისა და ტომების მხრივ.

მეორე მხრით, ესევე პირობები ბუნებრივადა ჰქმნიან საკითხს, — სწორედ ჩრდილო კავკასიაში „კანტონალური“ სისტემის მიზანშეწონილობაზედ, ეთნიური და ლინგვისტური სიჭრელის გამო. დალისტანი, საჩაჩნო, ინგუშეთი, ოსეთი, ყაბარდო... განა ეს კანტონები არაა, შეიძლება ითქვას. სწორედ კავკასიის ამ ნაწილში, შვეიცარიის მიწაგვარად, მოიძებნება — მთისა, ტყისა და ბარის კანტონები. და მათი გაერთიანების წარმოდგენაც შეიძლება „შვეიცარული“ სისტემით, ე.ი. კანტონთა კავშირად. დალისტანსა და საჩაჩნოს იქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. დალისტანის ისტორიაში ანალოგიებიც კი მოიძებნება შვეიცარიის ისტორიასთან (თავისუფალ საზოგადოებათა კავშირები სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნით, ერთობილი საქმეები ბარში, სამხედრო სამსახური ჯამაგირით და სხვ.).

რასაკვირველია, ასეთ „შვეიცარულ“ სქემაში ჩრდილო კავკასიისათვის, ყოველ ნაბიჯზე უნდა შესწორებაც იყოს შეტანილი, რაკი საერთოდ კავკასიაში ბევრი სიძნელეებია, რომელსაც შვეიცარია არ იცნობს.

ბევრს ლაპარაკობენ მაგალითად შვიცარულ ენათა თანასწორობაზედ (გერმანული, ფრანგული, იტალიური; სისრულისათვის უნდა დასახელდეს ლადინურიც, ამას წინად რომ მიეცა მეოთხე ენის სამოქალაქო უფლება), როგორც მისაბაძ მოვლენაზედ. მაგრამ არსად ისე შეკავშირებულ არა სჩანს განსხვავება შვეიცარიასა და კავკასიას შორის, როგორც ენის, ლინგვისტიურ სფეროში. კავკასიის ყველა რესპუბლიკებში, უმრავლესობის ენასთან არსებობს უმცირესობათა ენებიც. ზოგან ეროვნული ენა, პირდაპირი მნიშვნელობით, არც კი არსებობს და ტომობრივი ენები შევსებულია იქ ძალაუნებურად, სხვა უფრო გაცრცელებული ენებით, ადგილობრივი თუ სხვისით, პრაქტიკული შედეგებითაც სკოლის, განათლების, სასამართლოს და სხვ. სფეროებში.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, „კანტონების კავშირის“ სქემა, ალბად გამოდგება არსებითად ჩრდილო კავკასიისათვის. ჩვენი დროის

პირობებში იგი შეეგუებოდა მთიელ თავისუფალ საზოგადოებათა კა-
ვშირის ძველ ტრადიციასაც.

ასე არ არის დანარჩენ კავკასიაში. ისეთი სისტემის — დავარქვათ
პირობით „შვეიცარული“ — გამოყენება, თუნდ თეორიულად, აღნი-
შნავდა ხელოვნურად შექმნას და გამოცოცხლებას „ადგილებისა და
ტომებისას“ იქ, სადაც საჭიროა კეთილმეზობლობა და ნაყოფიერი
თანამშრომლობა უკვე ჩამოყალიბებულ და განცალკევებულ ერები-
სა.

დაყოფა, მაგალითად, საქართველოსი შემადგენელ ნაწილებად და
შექმნა ცალკე „კანტონებისა“ ქართლისა, იმერეთისა, სამეგრელოსი,
კახეთისა და სხვათაგან, იქნებოდა უაზრობა და ამით შებრუნება მთ-
ლიანი საქართველოსი უკულმა, მგონი არავის მოუსურვებია*). ამ ქვე-
ყნის ერთიანობა მკაფიოდ გამოისახა საქმითაც, რევოლუციის დროს,
როდესაც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზედ აღმოიფხვრა სა-
ბოლოოდ კუთხური მიღრეკილება, წინა საუკუნოებში გართულებუ-
ლი დინასტიური ფაქტორით, ე.ი. ადგილობრივი დინასტიების სახით.

ამ სიძველემ ადგილი დაუთმო ეროვნულ და კულტურულ - პო-
ლიტიკურ, განახლებულ შეგნებას საქართველოს მთლიანობისა, რაც
არა სპობს, რასაკვირველია, ადგილობრივ მრავალფერობას.

ადერბეიჯანიდანაც ვერ გამოსჭრით კანტონებს შვეიცარიის ყა-
იდისას. მაგრამ როგორც საქართველოში, იქაც შეიძლება იყოს შინა-
განი „კანტონები“, ე.ი. ავტონომიური პროვინციები... მაგრამ ეს უკვე
სხვა თემაა.

„კანტონალურ“ სისტემაზე, თავის დროზე, უკავარდათ ლაპარაკი
სომხებს; მათ ეხატებოდათ ამ სახით — უკეთესი შესაძლებლობა თავი-
ანთ უმცირესობათა დაცვისა საქართველოსა და ადერბეიჯანში. მაგ-
რამ ეს იყო რევოლუციამდე.

საზოგადოთ ასეთ შენიშვნებს იმ დასკვნებამდე მივყევართ, რომ
შვეიცარული პოლიტიკური სქემა — არ უდგება კავკასიას, როგორც
მთლიან ერთეულს და მის შემადგენელ ერებიდან, ყველაზდ მეტად
„შვეიცარული“ იქნებოდნენ მთიელი ხალხები ჩრდილო კავკასიისა.
ვთიქობ, საჭირო არაა ხაზის გასმა ამ ანალოგიის პირობით ხასიათი-
სათვის.

დასასრულ, ზედმეტი არ იქნებოდა ორიოდე სიტყვით მოგვეგო-
ნებინა უმთავრესი „შვეიცარული“ თემა შვეიცარიისა და კავკასიის
შედარებაში, სახელდობრ, მუდმივი ნეიტრალიტეტისა, სახელმწიფო-
თა შეთანხმებით, შესაფერ გარანტიებით და მოვალეობით ამ ნეიტრა-
ლიტეტის დაცვისა. 1815 წ. ვენის კონგრესზედ, სახელმწიფოთ აღია-
რეს, რომ „საერთო ინტერესები მოითხოვს მუდმივი ნეიტრალიტეტის
დაარსებას შვეიცარიის კავშირის სასარგებლოდ“. იმავე დროს დად-
გენილი იყო: „მიეცეს მას საშუალება დამოუკიდებლობის უზრუნველ
საყოფად და ნეიტრალიტეტის დასაცავად“. კეთდებოდა ეს „იმ რწმე-
ნით, რომ პატრიოტიზმი და კეთილგონიერება შვეიცარიელებისა შე-
აგნებინებს მიზანშეწონილობას და აუცილებლობას ურთიერთისადმი

დავის „დავიწყებისას“ და სხვ.

ჩვენს დროში ყველაფერი ეს და მთელი შვეიცარული ოაზისი, შეიძლება გვეჩვენოს მოძველებულ ამბად, ჩვენ ტრაგიულ ხანაში, — ძველ „კეთილ დროებათა“ ანარეკლად. შეიძლება თვით შვეიცარიის „მუდმივ ნეიტრალიტეტსაც“ დაუდგეს განსაცდელი. ამით არა მცირდება არც თვით იდეის ფასი, იდეის, რომელიც გამართლებულია გამოცდილებით და არც ამ იდეის შეფერება — კავკასიისათვის. ესლაც ბევრი კავკასიელის პოლიტიკურ შემეცნებას ეს არ ეუცხოება. დღეს შეიძლება უტოპიური, ხვალინდელ გარემოებაში იქნება რეალობადაც გადაიქცეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა დიდი შრომა და მომავლის განვირეტა... დღევანდელ უტოპისტებისათვის.

¶. ავალიშვილი



თვალით გრძა — ჰკუთ ხედავსო, ჰკუთ გრძა — თვალითაც ვერა ხედავსო.

ჩვენი უურნალის წარსული ნომრის მელანი ჯერ გამშრალიც არ იყო, — საცა ჩვენ გამოვაქვეყნეთ ბ-ნ უორდანიას დოკუმენტი, თუ საიდუმლოდ როგორა სცნობს იგი საქართველოს დღეს არსებულ საზღვრებს (რისთვისაც ჩვენ საჯაროდ თავზე კაკალს გვამტვრევდა მისი შენშევიკური ფრონტი); — პო, არ გამშრალიყო ჯერ კიდევ მელანი, რომ რედაქტირა მოუვიდა უკვე დაბეჭდილი დოკუმენტი: „დამოუკიდებელი საქართველო“ № 154, სადაც უორდანიას ფრონტის უურნალი, უკვე ისეთ მაღაყებს გადადის, რომ თვით ბ. უორდანიას გააკვირვებდა ალბად.

აბა ყური დაუგდოთ. 1937 წელს „კავკაზ“ მა ახდილადა სცნო — კავკასიის დღევანდელი საზღვრები ისმალეთსა და ირანთან, რაც თავიდანვე იგულისხმებოდა „კავკაზ“ ის არსებობიდან.

უორდანიამ და კომპანიამ მთელი წელიწად ნახევრის განმავლობაში ქვეყანა გამოაყრუა, რომ ბამატი და მისი „ორიოდე ქართველი“ — თურქების, ბოლშევიკების აგენტები არიან, საქართველოს ჰყიდიან, მისი ტერიტორიით ვაჭრობენ და ათასი ასეთი ბრალდებით — მიტინგებზე, პრესაში, საზოგადოებაში და სხვ.

მერე, ეტყობა, მოლა მასრადინასავით თითონვე დაიჯერა თავისი სიცრუე, რომ ვიღაცას რაღაცის გაყიდვა შესძლებია ზემოაღნიშნული საშუალებით და თითონვე სწერდა, იმავე წელიწადს, — ამავე საზღვრების შესახებ, უკვე სომხების საპასუხოდ — ქართული ანდაზის უცოდინარობით — რუსულიდან თარგმნილით: „როცა თავსა სჭრიან, თმებზე აღარა სტირიანო“. (ქართულად ასეა: „თათარს თავსა სჭრიდნენ და მუწუკი არ მატკინოთ“).

მენშევიზმისაგან დაბეჩავებულმა ქართველმა „საზოგადოებაშ“, რომლისთვისაც „პატრიოტული“ ღრიანცელი მეტსა ნიშნავს, ვიდრე პოლიტიკური შინაარსი, — ვერ გაიგო ერთი და იგივეობა „კავკაზ“ის და უორდანიას პოლიტიკური პოზიციისა და აპუკა წამსისინებელ დემაგოგიას.

„ნაციონალისტურმა“ პრესამ და მენშევიკურმა დემაგოგიამ მიყვანა ხალხი 1937 წლის 4 ქრისტიშობისთვის მიტინგზე, საცა უორდანიას ფარული კურთხევით — დაგმობილ იქმნა „კავკაზ“ის პოლიტიკური პოზიცია... არაფრით განსხვავებული უორდანიას პოზიციისაგან, გარდა სიტყვიერებისა.

1937 წელს ამ თვალთმაქცობამ შეიყვანა შეცდომაში ემიგრაცია.

მთელ 1938 წლის განმავლობაში, თავშეუდებელი ლანძღვა-გინება „კავკაზ“ის და მისი ქართველი თანამშრომლებისა მიღიოდა კრესხენდო, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ უორდანიამ ნიღაბი ცოტა აიწია და ბუნდოვანი „როცა თავსა სჭრიან, თმებზე ალარა ტირიანო“, შეცვალა უფრო მკაფიო ფორმულით, რომელიც „კავკასია“მ პარალელურად დაბეჭდა ნომერ მეთერთმეტეში „კავკაზ“ის ფორმულასთან ერთად:

ბ-6ი ბამატისა:

„კავკაზ“ის მიმართულება სცნობს სამხრეთის იმ საზღვრებს, რომელიც დღეს არსებობს კავკასიასა, ოსმალეთსა და ირანს შორის“.

ბ-6 უორდანიასი:

„მეგობრული ურთიერთობა ისმალეთთან იყო და არის ერთერთი ბაზა, რომელზედაც მას (კ. კ. საბჭოს) იმედი აქვს დაამყაროს დამოუკიდებლობა და ბედნიერება კავკასიელ ერებისა“.

განსხვავება არავითარი პოლიტიკურ არსებაში! შხოლოდ სიტყვიერი გამოხატულება სხვა და სხვანაირი — უმატებდით ჩვენ.

მენშევიკური „ბრძოლის ხმა“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და მათი ამყოლი „ნაციონალისტური“ პრესა და „საზოგადოება“ ამ ფორმულების პოლიტიკურ ერთსა და იგივეობას — „ვერა ხედავდა“ და განაგრძობდა დემაგოგიას 1938 წლის ქრისტეშობის... ხეებამდე მიყვანით.

როცა უკვე წინა დღით — 24 ქრისტიშობისთვეს 1938 წელს, ბ. უორდანიას შეთხზული ჰქონდა, საიდუმლოდ დასაგზავნად, ჩვენგან „კავკასიის“ წარსულ ნომერში დაბეჭდილი დოკუმენტი, საცა ბ-ნი უორდანია, უკვე სიტყვა-სიტყვით იმეორებს ჩვენს ფორმულას და თავის დროშაზედ აწერს:

„საქართველოს დღეს არსებული საზღვრების ხელშეუხებლობა“.

მენშევიკური და ზოგიერთი „ნაციონალისტური“ პრესა, „პოლიტიკური მოღვაწეები“ და „ლიდერები“, შესაძლებელია ამის შედეგაც „ვერ დაინახავდნენ“ „კავკაზ“ისა და ბ-ნ უორდანიას პოლიტიკური პოზიციის ერთსა და იგივეობას, რადგან ყველაზედ ბრმა ის კი

არ არის, ვინც ბრძანა, არამედ ის, ვინც თვალს იბრძავებს... სხვა და სხვა მოსაზრებით და ანგარიშით.

მაგრამ ასეთი ბრძების სულ მთლად გასამასხარავებლად საზოგადოების თვალში, უორდანიას მენშევიკური ფრონტი არც კი აცლის. გონიერ მოსვლას ჯერ კიდევ იმ საიდუმლო აბრუნდისაგან, რომ უკვე საჯაროდ, ახდილად „დამოუკიდებელ (?) საქართველოში“ ალაყ-მალაყებს გადადის 1939 წელს:

„...სამი ქვეყნის, თურქეთის, ირანის და კავკასიის საარსებო ინტერესები ერთმანეთს ხვდებიან, ეთანხმებიან და თვითეული მათგანი, უნდა ვითიქროთ, მათი მტკიცებამცველად გამოვა მოსალოდნელ საერთაშორისო გართულების დროს. ჩვენ ისიც შეგვიძლიან დავსძინოთ, რომ, როცა ჩვენი შეზობლები სააღაბადის პაქტსა სდებლნენ ერაყსა და ავლანისტანთან, კავკასიასაც მასზე უნდა მოეწერა ხელი, იმ დროს ის თავისუფალი რომ ყოფილიყო.

„როცა ამ საგანზე ვბასობთ, ჩვენ უნებლიერ გვაგნდება პოლიგლოტ „კავკას ის კამპანია იმის გამო, ვითომ ჩვენ, ქართველები, მებრძოლნი რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის, თურქეთის დღევანდელი საზღვრების გადაწევას ვითხოვდეთ, ან კიდევ ვითომ აზერბეიჯანელნი ირანის საზღვრებში იჭრებოდნენ! ჩვენ არ გვგნია, რომ ასეთმა ბოროტმა ცილისწამებამ რაიმე ნიაღაგი ჰპოვა ანკარასა და თეირანში. ვფიქრობთ, პირიქით, თვით ცილისმწამებელთ გაუტეხა სახელი. ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა უკეთ იციან კავკასიის ერთა სულისკვეთება, რომელნიც თავდადებულად იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ თავის დამოუკიდებლობის აღსაღენად არსებულ საზღვრებში, — და ამ დროს მათ მიმართ ანტითურქული და ანტიირანული ბრალდების წამოყენება პირდაპირ დანაშაულია.

„კავკასიის კონფედერაციის საბჭოს და მის პრეზიდიუმს მართებთ ენერგიული ზომების მიღება მსგავსი დაუშვებელი ცილისწამების ასალაგმავად. მაგრამ მათი როლი მარტო ამით როდი განისაზღვრება. საჭიროა ენერგიული დადებითი მუშაობა, რათა ყველა ძალები, ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაინტერესებულია კავკასიის სვებედით, სავსებით გარკვეულ იქმნენ იქაურ ერთა მისწრაფებაში, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობანი, განსაკუთრებით მათი ერთსულოვან სურვილში, მხარდამხარ და ლოიალურად ითანამშრომლონ სამხრეთ მეზობლებთან უველასი და თვითეულის საკეთი ღილადლეოდ“.

აი, როგორაა ახლა მობრუნებული კეხი ჩვენს წინააღმდეგ: თუ რმე მენშევიკები და „დამოუკიდებელი (?) საქართველო“ კი არ არიან ბოროტი ცილისმწამებელნი და დამბეჭდებელნი, რომ დღევანდელი საზღვრების ცნობით — ვყიდით საქართველოს, არამედ, ჩვენა ვართ ცილისმწამებელნი, ვითომ ისინი არა სცნობდნენ დღევანდელ საზღვრებს.

ეს ძალიან „მოხერხებული“ და გრძელვალიანი „კვანტია“ აღბად, ჩვენი დასაწყლებული ემიგრაციის მოსატყუებლად, მაგრამ როგორა „სტყუვდება“ ნაციონალისტური და მენშევიკური პრესსა — საკითხავი აი ეს არის.

ვთქვათ, ვერ გაიგო, რომ 1937 წ. „თავს როცა სჭრიან, თმაზე აღარა სტირიან“² იგივეა, რასაც ჩვენც ვამბობთ; ვერ გაიგო ვერც ის, რომ 1938 წ. „მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან არის ბაზა ... დამოუკიდებლობა და ბედნიერება კავკასიელ ერებისა“ — იგივეა, რასაც ჩვენა ვწერდით.

როგორ „ხერხდება“ გაუგებრობა (?) იმის შემდეგაც, როცა ჩვენგან გამოქვეყნებულ საიდუმლო (?) დოკუმენტის და „დამოუკიდებელ საქართველო“ საგან დაბეჭდილ იმავე სიტყვებით ჩვენი ფორმულისა:

„ვცნობთ სამხრეთის იმ საზღვრებს, რომელიც დღეს არსებობს კავკასიასა და ოსმალეთსა და ირანს შორის“.

როგორ პოულობენ ამ სრულ იგივეობაშიც და 1939 წელსაც განსხვავებას, „განაციონალისტებული“ მენშევიკები და გამენშევიკებული „ნაციონალისტები“, ამასაც ვხედავთ უკვე.

განსხვავება კი არის, მაგრამ არა ფორმულაში, არამედ პოლიტიკურ მორალში.

ჩვენ ვიბრძვით ახდილად, გულწრფელად, რეალური, ძლიერი და არსებობის შემძლე (ვიაბლ) კავკასიისათვის და მყვირალა მენშევიზმი თუნდ ლანჩხუთამდე მართლაც გაჰყიდის საქართველოს, ოლონდ თავისი წარსული ბატონობა შეინარჩუნოს შინაურ ფრონტზე... თუნდ მარტო ემიგრაციაში. აი რა განსხვავება „არ ესმით“ არც ზოგიერთ მენშევიკებს და არც ზოგიერთ მათ დამქაშ „ნაციონალისტებს“. მაგრამ ცოტაა განა ამ ქვეყნად აღამიანი, რომელსაც „დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ურჩევნია“?

ასეა „შინაურ ფრონტზე“; თუ როგორ ინახავს მენშევიზმი საქართველოს პრესტიუს და ლირსებას „საგარეო ფრონტზე“, ეს უურნალ „კავკასიის“ წარსული ნომრიდანაც იცის ჩვენმა მკითხველმა... მთლიანი უკრაინის საკითხიდან.

იმის მაგიერ, რომ პატიოსნურად ეცნოთ თავისი შეცდომა და ახდილად თუ არა, სიჩუმით დაედასტურებინათ, რომ უერთდებიან „კავკაზ“ის სწორსა და რეალურ პოზიციას, და ამით დააშოშმინონ, მათ მიერვე უადგილოდ ახმაურებული ხალხი, რაც ვითომ უნდათ, — ახლა ახალ სააყალმაყალო საბაბს ეძებენ, რადგან ეს მათ მიაჩნიათ

ხელსაყრელად და არა ჩვენ, ისინი, — „მენშევიკური ფრონტის“ ხალხი წინ გაურბის „კავკაზ“ს და ახლა „თათრებთან“ ულირსი ლაქუცით აპირებს ჩვენს დაზიანებას.

მაგრამ ქვეყანა ჩალით აღარ არის დახურული.

რ. გაბაშვილი



გავნე ჭიბნაკი

ემიგრაციაში გამოვიდა წიგნაკი — „სახელმწიფო და ერი“ს სა-თაურით, რომელსაც შეუძლიან მკითხველზე შთაბეჭდილება დასტოვოს, რომ მეტად მხიარული და მჩატე კაცის დაწერილია. მაგრამ ეს ასე არ არის. წიგნაკის ავტორი, ბ. აკაკი ჩხერიმელი, დიდად დარბაისელი და აგებულობითაც ახოვანი აღამიანი ბრძანდება. ვის არ ახსოვს მისი განთქმული ამბავი, როცა იგი, რუსეთის სათათბიროს სხდომიდგან გარიცხული და ნებით არ გასული, „დუმის“ რვა იასაულმა ძალით ძლივს გაიტანა დარბაზიდგან. ასეთ ხალხს ხუმრობა არ უყვარს. ადა მიანის არსებაში მუდამ ბუდობს „რწმენა“, სულ ერთია რანაირი, რომელიც, თუ ხელალებით ალრმავე, არ შეიძლება სასაცილო არ გახდეს. ეხლაც, ბ. ჩხერიმელის წიგნაკის მხიარული ტონი ამ „ლრმა“ რწმენიდგან მოდის. მთავარი მის წიგნაკში ეს მისი ნეტარი რწმენაა. პირიქით, წიგნაკის შინაარსი მართლა მხიარული და მჩატეა და ჩვენს იდეურად განახლებულ დროში, უკვე ძველ და გახუნებულ ამბად გამოიყურება.

ბ. ჩხერიმელის ეს რწმენა „მარქსიზმია“. ავტორი აცხადებს, რომ თუ საქართველო დალუპვას გადაურჩა, ამას მარქსიზმს უნდა უმადლოდესო. რადგან ბ. ჩხერიმელის ერთად ერთი მიზანი ის არის, რომ სადღაც და რომელიმაც ბედნიერ ქორწინებაში „სახელმწიფო“, „ერი“ და „მარქსიზმი“ ერთად შეჰყაროს, ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ ავტორს თავისი წიგნაკისათვის „სახელმწიფო, ერი და მარქსიზმი“ დაერქმია. მიზანი მზაკვრულია და მიუღწეველი, რადგან მარქსიზმი და მეტადრე ქართული მარქსიზმი სახელმწიფოს და ერის სრული უარისყოფაა. მაგრამ სამაგიეროდ მკითხველისათვის ნათელი ხდება ის აზრი, რომ თავის წიგნაკში ბ. ჩხერიმელი განმარტავს არა „სახელმწიფოს“ და „ერის“ ცნებას, არამედ მხოლოდ ამართლებს და იცავს ქართულ მარქსიზმს.

ამით აიხსნება ის გარემოებაც, ფრიად თვალსაჩინო ბ. ჩხერიმელის წიგნში, რომ „სახელმწიფოსა“ და „ერზედ“ ავტორი გვიამბობს მხოლოდ ზლაპრებსა და ანეკდოტებს და „ფაქტები“ მოყვანილია მარტო ქართული მარქსიზმის ისტორიიდგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ანეკდოტები, რომლითაც ავ-

ტორი „ერების“ წარმოშობის ისტორიას ასაბუთებს. ჩაგალითად საფრანგეთის „ხალხი“ მხოლოდ მაშინ ქცეულა „ერად“, როცა რევოლუციონური ჯარის მარშალს კელერმანს თავის ქუდი ხმალზედ „წამოუნცია“ (ეტყობა, „წამოუცვია“ უნდა იყოს!) და „რეაქციონურ“ გერმანულ ჯარისათვის შეუძახნია: „გაუმარჯოს ერს!“ ო. ბაგრამ ბ. ჩხერი ამ ერთსა და ისედაც ბრწყინვალე საბუთს არა სჯერდება და მისი აზრით, საფრანგეთის „ხალხი“, იმავე დროს, სხვა ადგილასაც გამხდარა „ერი“. ეს კიდევ ერთი „მოქცევაი“ საფრანგეთის ხალხისა „ერად“ მომხდარა 1792 წელს, სტრასბურგში, როდესაც რუსე დელილს პირველად „დაუმღერია პიანოს კლავიშებზედ“ მარსელიეზა! ასე გამხდარა თურმე, ზოგან გენერალის დაძახებაზედ, ზოგან მარსელიეზის დამღერაბაზედ, საფრანგეთის ხალხი „ერად“! ბ. ჩხერი არაფერს ამბობს იმის გამო, თუ რას უცდიდა ეს უვიცი საფრანგეთის ხალხი ამდენ ხანს, როცა „ერად“ ქცევა ასე ადგილი და თითქმის უცაბედი ყოფილა?!

ბ. ჩხერი საფრანგეთისათვის ანეკდოტი მაინცა აქვს. საქართველოსათვის მას სიტყვაც არ გააჩნია, რომლითაც ქართველობა თავის კრებულს უღნიშნავდა. მისი განცხადებით, საბას ლექსიკონში დღევანდელი სიტყვა „ერი“ თურმე სხვა რამეს ნიშნავს და არა „ნასიონს“. ამიტომ ბ. ჩხერი ფიქრობს, რომ ქართველობაც მხოლოდ ბრძო, ხრო, ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ „ხალხი“ იყო, რომელიც, თუ ბ. ჩხერი მოეხსენება, ქართული სიტყვაც არ არის.

საბას ლექსიკონი ამ უამაღ მე ხელთ არა მაქვს და ვერ შევეცილები ავტორს იმაზედ, თუ რამდენად სწორად გაიგო მან საბას განმარტება, ან რამდენად ბოლომდის ჩაათვალიერა მან განთქმული ქართული ლექსიკონი. ვსთქვათ, რომ საბას თავის ლექსიკონში ასეთი სიტყვა სულ არა აქვს. მაგრამ განა საბა იმასაც ამბობს, რომ მისი ლექსიკონი მთელი ქართული სიტყვიერების ხვავია? არსებობს ძველი და დიდი ქართული მწერლობა, საიდგანაც დიდი ხანია ცნობილია, რომ „ნასიონის“ შესატყვისი ქართული სიტყვა, ვიდრე ხმარებაში უცხო „ხალხი“ შემოვიდოდა — „ნათესავი“ იყო. „ნათესავი ქართლისა“, როგორც დღევანდელი „ქართველი ერის“ შესატყვისი, უკვე ნაადრევ ქართულ სამწერლო ძეგლებშია ნახმარი.

ბ. ჩხერი მა, ეტყობა, ეს გარემოება არ იცის და გადაჭრით ამბობს, რაკი ცნება „ერის“ შესატყვისი ქართული სიტყვა არ არსებობს, არც თვით ქართველი ერი არსებულა, ამისი შეგნება მას „არა ჰქონია“. მაგრამ „არა ჰქონია“ როდის, ისტორიის რომელ განსაზღვრულ მანძილზედ, როდემდის, სადამდის? ბ. ჩხერი ბრძანებს, რომ ქართველობა „ერი“ არ იყო სულ უკანასკნელ დრომდის, ჩვენის სიტყვით რომა ვსთქვათ, ფარნავაზიდგან ირაკლი მეფემდისო. მაშასადამე ორი ათასი წლის მანძილზედ, ქართველობას ერთხელაც არ გამოსჩენია არც გენერალი, არც „პიანოს კლავიშებზედ“ მომღერალი ვინმე, რომ ეთქვა: გეყოფა „ხალხობა“, გახდი „ერი“! ო.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დამდგარა

რაღაცა „სუფრული მამულიშვილობის“ შეგნება (ეს სიტყვები ბ. ჩხერიძელს ეკუთვნის!) რომლის გავლენა ბატონიშვილების, პოეტების და კიდევ ვიღაც - ვიღაცაების წრეს არა სცილდებოდა და მხოლოდ იმავე საუკუნის მესამოცე წლებიდგან ყოფილა, რომ იღიასა და აკაკის დროში, ცოტათი მაინც შემოსულა ქართველობაში ეროვნული გრძნობა. ვამბობ „ცოტათი მაინც“, რადგან ბ. ჩხერიძელი იღიასა და აკაკის მხოლოდ იმ მოსაზრებით ახსენებს, რომ მათი მნიშვნელობა მინიმუმადის დაიყვანოს და საჩქაროდ „მესამე დასზედ“ და მის „დოქტრინა“ მარქსიზმზედ გადინაცვლოს, რომელსაც მხოლოდ ერთს გამოუყვანია ქართველი „ხალხი“ ბრძოლისა და ისტორიის „სცენაზედ“ და მხოლოდ მას გაუხდია იგი, ეხლა კი საბოლოოდ, „ქართველ ერად“.

ასე სხარტულად და ასე უდარდელად გვიხატავს ბ. ჩხერიძელი „ქართველი ერის“ წარმოშობის ისტორიას და ამით იმასაც გვეუბნება, რომ „მესამე დასის“ გამოჩენამდის ქართველობას ისტორიაც არა ჰქონია. არა ყოფილა არც ძველი ქართლის ხანა და ქართული ქრისტიანობა, რომელმაც ქართულ კულტურას საფუძველი ჩაუყარა, არც დავით კურაპალატი და იოანე მარუშიძე, რომლებმაც ცალკე ქართველი ტომები, ქართული მიწები და ქართული სამთავროები ერთ ერად, ერთ ტერიტორიად და ერთ ქართულ მონარქიად აქციეს. „სცენა“ არ ყოფილა დიდ-გორის ომი, საღაც დავით აღმაშენებელმა მხოლოდ უტვინო, უგულო და უსულო ქართველობა აბრძოლა!...

ეს ქართველი „ხალხი“, ჩვენის აზრით, ასე ძველი, ასე შემოქმედი, ასე მოლვაწე და ასე მეომარი გაუერთიანებიათ და „ერად“ უქცევიათ მიხა ცხაკაიას, ნოე უორდანიას, ფილიპე მახარაძეს, აკაკი ჩხერიძელს და მათ ახმანაგებს. თუ მანამდის ქართველობა ან სუნთქვავდა, ან ფიქრობდა, ან იღვწოდა — ეს მხოლოდ მომაკვდავის ბრძოლა ყოფილა.

„მაზქსიზმი, თუ გნებავთ, მისწრება იყო ამ ბრძოლაში“, თორეზ საქართველო დაიღუპებოდაო, აცხადებს ბ. ჩხერიძელი. აქ არის მისი მარქსისტული აღტაცების მთავარი მწვერვალი და ჩვენც სწორედ აქა გვაქვს უფლება ჩვენ მარქსისტს რამდენიმე კითხვა დაუყენოთ:

თუ მარქსიზმი ქართველი ერისათვის ასეთი „მისწრება“ იყო, რად მოხდა, რომ საქართველო სწორედ მაშინ დაიღუპა, როცა მისი რესპუბლიკა, მისი რეჟიმი, მისი მთავრობა, მისი პოლიტიკა, თვით ბ. ჩხერიძელი, სხვა ბევრი ვინმე და სხვა ბევრი რამ მარქსისტული იყო?

თუ მარქსიზმი ქართველი ერის ასეთი გამაერთიანებელი იდეა იყო რად მოხდა, რომ ქართველი მარქსისტები ერთმანეთს წაეკიდნენ, მერე რუსის ჯარით ერთმანეთს თავს დაესხნენ და საქართველო დალუპეს?

საღ არის აქ მარქსიზმის, ან ქართველ მარქსისტების მაცხოვნებელი ძალა? განა კიდევ საეჭვოა, რომ საქართველოს ბედისწერაში, პასუხის მგებელი მხოლოდ მარქსიზმია, სულ ერთია, მენშევიკური თუ ბოლშევიკური?

ამრიგად, ბ. ჩხერიძელი იცავს და ამართლებს არა მარტო საზოგადოდ

მარქსიზმს, არამედ და განსაკუთრებით ქართულ მარქსიზმს, რომელ-
მაც საქართველო შიგნიდან და გარედან ანგრია.

ორმოცი წლის შემდეგ ბ. უორდანია მიხვდა, რომ მარქსიზმი,
დროებით მაინც, მისთვის ხელსაყრელი აღარ არის და დღეს ფაშის-
ტურ სახელმწიფოებს თვალს უშვრება. ამის გამო ბ. უორდანია პარ-
ტიულ ორგანიზაციასაც კი „შორდება“. გულწრფელად სჩადის ამას
ბ. უორდანია თუ არა, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ორივე
შემთხვევაში ასეთი საქციელი დიდი უპრინციპობაა. მაგრამ ამ უპრი-
ნციპობაზედ „ანგარიში“ მაინც არის გადამჯდარი.

სხვანაირად ირჯება ბ. ჩხერიძე. იგი მთელ ქართულ მარქსიზმს
აცხადებს „ფაშისტურად“. იგი დიდი ხანია იმ აზრს ადგია, რომ ერ-
თად ერთი ეროვნული პარტია საქართველოში სოციალ დემოკრატი-
ული პარტია არის. ამის გამო მან მთელი მემორანდუმიც გაუგზავნა
ერთ ფაშისტურ მთავრობას. აი ამ აზრს ანვითარებს ბ. ჩხერიძე თა-
ვის წიგნაკში. და რადგანაც ჩვენი ავტორი დიდი მიღევა მწერალია,
ყოველ თავის მტკიცებაზედ, რომ ქართული მარქსიზმი და ქართული
ნაციონალიზმი ერთი და იგივეა, კისერს გვიშვერს და იძახის: თუ ასე
არ არის — „თქვენი ხმალი და ჩემი კისერი“! მაგრამ რა შუაშია სა-
ბრალო კისერი იქ სადაც თავია დამნაშავე. ან მარქსიზმი ვარგა
და მაშინ მას ნაციონალიზმი აღარ უნდა უძახო, ან მარქსიზმი არ ვარ-
გა და მაშინ უნდა „გაფაშისტდე“. ჩვენი ბრალი არ არის, რომ ბ. უო-
რდანიამ ამაშიც აჯობა ბ. ჩხერიძეს!

ბ. ჩხერიძის წიგნაკი დიდის მალხაზობით და დიდის გრაციოზო-
ბით არის დაწერილი. მისი წერის ეშხს ვერ ანელებს ის გარემოებაც,
რომ წიგნაკში ნახმარი აქვს ფორმები, რომლებიც, გავტედავ და მეც
ვიტყვი, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში არ უნდა იყოს. ასე-
თებია: „ჩამოანცობდენ“, „ჩაყურყუმალდა“, „რაღმე“, „ანცობილ
იქნან“, „ამოვყევით თავი“ და სხვა. ამაზედ კი ბ. ჩხერიძეს არ აუხი-
ლდები. ასეთი ქართული ენა, კეშმარიტად, მარტო ქართველ მარქსი-
სტების შემოღებულია...

შ. ამირეჯიბი



† გიორგი და დავით ჩხეიძენი

პარიზში ა.წ. 25 თებერვალს, სალამოს 8 საათზე გადახდილ იქმნა
პანაშვიდი პოლონეთის ჯარის ოფიცირების დავით და გიორგი ჩხეიძე-
ების სულის მოსახსნებლად. პანაშვიდზე დამსწრე ქართველობამ მი-
უსამძიმრა უდროოდ გარდაცვალებულების ბიძას, საქართველოს ჯა-
რების ყოფილ მთავარსარდალს ბ-ნ ლენერალ გ. კვინიტაძეს ოჯახი-
თურთ.



განსვენებულმა ძმებმა დავითმა და გიორგიმ საშუალო განათლება მიიღეს თბილისის კად. კორპუსში და უმაღლესი სამხედრო განათლება სამშობლოს გარედ, პოლონეთში. ორთავენი მსახურობდნენ პოლონეთის ჯარის ცხენოსან ნაწილებში. პორუჩიკი გიორგი სამხედრო აღლუმის დროს გაცივდა და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1927 წელს ენკენისთვეში. მისი ძმა, კაპიტანი დავით ჩხეიძე პოლონეთის ჯარში ითვლებოდა ერთ საუკეთესო მოჯირითედ, რისთვისაც ჰქონდა მიღებული სათანადო ჯილდოები. მასაც თავისი ძმის ბედი ეწვია, სამხედრო აღლუმზედ გაცივდა და ულმობელმა სიკვდილმა გამოჰვია მის დამწუხრებულ ოჯახს — 8 თებერვალს 1939 წელს.

„კავკასია“ს რედაქცია ულრმესი მწუხარებით თავს იხრის უდრონდ დაკარგულ ვაჟკაცთა საფლავების წინაშე, რომელთაც არ დასცალდათ თავი გაეწირათ სამშობლოს ბრძოლის ველზედ. ტაბახმელას გმირ — ლენერალ ალექსანდრე ჩხეიძესთან ერთად ჩვენცა ვგლოვობთ ახალგაზრდა დავითისა და გიორგის დაკარგვას და უსურვებთ ეს მძიმე დანაკლისი შეუმსუბუქოს დაობლებულ მშობელთ საამაყო მოგონებამ, რომ საკუთარ შვილებთან ერთად, მათ გამოზარდეს ტაბახმელას არწივნიც, მათი სამხედრო - სულიერი შვილნიც — „იუნკრები“. საქართველოს ისტორია ამ ღვაწლს არ დაივიწყებს და იქნებ შორს არ არის ის დროც, როცა სწავლით უფრო ფრთა-გაშლილნი ჩვენი არწივები, მათი შვილების ახალგაზრდა სულებს შესძახებენ: გაიხარეთ — საქართველო თავისუფალია!

ი. გვარამაძე

† გრ. ნადარეიშვილი

ემიგრაციის „პოლიტიკურმა“ დაშლილობამ შეიწირა კიდევ ერთი წყნარი, პატიოსანი და სწავლით გატაცებული ახალგაზრდა, რადგან „მხოლოდ თავისიანებზედ“ ზრუნვა უკულტურობის ავაღმყოფობად გადააქციეს იმათ, ვისაც ეკისრებოდა ემიგრაციის მოვლაც.

გრ. ნადარეიშვილი არავის აწუხებდა თავისი უოყოჩიბით, და, თუმცა ნათესავებიცა ჰყავდა, პარტიული მეგობრებიც, უპატრონოდ გარდაიცვალა, რაკი საკმაოდ მყვირალა აქტივობას ვერ იჩენდა ვის-თანმე მიკედლებით, რომ ყურადღება დაემსახურებინა. ემიგრანტული ატმოსფერა, მოშხამული უკულტურო პოლიტიკანობით, შესაფერისი ჰავა არ არის ფაქტი ბუნების აღამიანთათვის და ისინი წყნარად იხო-ცებიან უგულობისა და მოუვლელობისაგან. „ფული ჩვენ მარტო პო-ლიტიკისათვისა გვაქვს“^ო, ბრძანა ერთ ასეთ შემთხვევაში ჩვენმა „მა-მა-მთავარმა“ და ასეთი „პოლიტიკის“ გამო, მკვდარნი მკვდართ ემა-ტებიან.

მშვიდად განისვენე, ძმაო გრიგოლ, შენ არაფერი დაგიკარგავს უგულო ემიგრაციიდან წასვლით, დავკარგეთ ჩვენ — შენი წასვლით.

ი. გ.



ნაციონალ - სოციალიზმის „რეაციონურობაზედ“

(დასასრული*)

3. მმართველობა

ხალხთა დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებით გართულებულია და იმავე დროს გაძნელებული, ვიდრე ამ 50—60 წლის წინ, მეტადრე მსოფლიო ომის მიერ მიყენებულ ჭრილობათაგან, რომელთაგან კაცობრიობა ჯერ კიდევ არ არის განკურნებული.

ცხოვრების ტემპი საშინელის სისწრაფითა სცემს, ტეხნიკის გაუ-გონარ წინსვლის — რადიო, ჰაერის და სხვ. სრული დამორჩილების გამო. ამ მდგომარეობას უფრო ამწვავებს და სახელმწიფო, მმართვე-ლობა უდიდეს ამოცანის წინა სღვება ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის საზღაპრო გაზრდით, ერთის მხრით და მეორე მხრით ქალაქის და სო-ფელს შორის დისპროპორციით, რაც მოსახლეობის გამოკვების სა-კითხს საფრთხეში აგდებს.

აქ საჭიროა უდიდესი ძარღვების დაჭიმვა, უაღრესად რთული ორ-განიზაცია ყველა მის მრავალ ნაწილთა შემადგენლობაში. ერთი სი-ტყვით, საჭიროა, დღევანდელ საზოგადოებრივი ცხოვრების აწყობა,

*) იხ. „კავკასია“ № 20—21.

როგორც კარგად მომუშავე საათისა. საკმარისია ამ საათის რომელიმე ნაწილის მოღუნება, გაფუჭება, რომ ის მოიშალოს და საზოგადოება კატასტროფის წინ დააყენოს.

აი ამ მდგომარეობის მიხედვით კარგია ყოველგვარი მმართველობა, რომელიც ცხოვრების ამ აწყობილ საათს კარგად შეინახავს, მოუვლის, ცუდია მმართველობა, თუ მას მოშლის, ვერ გაუძლვება: აქ სხვა საზომი, პრინციპი მიუღებელია ხალხისათვის, რომელსაც ცხოვრება, არსებობა უნდა და არა ესა თუ ის მსოფლ-მხედველობა.

ჩვენ ვალდებული ვართ ნაციონალ - სოციალიზმის მმართველობას მხოლოდ ამ თვალით შევხედოთ. არის თუ არა იგი გერმანიის ხალხის დღევანდელი საჭიროებიდან გამომდინარე?

ალფრედ როზენბერგმა, რომელსაც ფიურერისაგან დავალებული აქვს ნაციონალ - სოციალიზმის პრინციპების წმინდათ დაცვა, ერთ კრებაზე ამას წინედ განაცხადა, რომ ნაციონალ - სოციალიზმი და მისი ფორმა მმართველობისა საექსპორტო საგანი არ არისო, ის შექმნილია მხოლოდ გერმანიისათვის და მისი არსებობის მოთხოვნილებაა. ჩვენ არა სასიამოვნოდ დაგვირჩებოდა, თუ რომელიმე სახელმწიფო ჩვენი წაბაძვით თავის თავს ნაციონალ-სოციალისტურ ქვეყანას უწოდებდაო. და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მეურნეობა იმავე ეკონომიური განვითარების საფეხურზეა, რაც სხვა დაწინაურებული ქვეყნებისა, მისი მდგომარეობა განსაკუთრებულია გეოგრაფიულად, მცხოვრებთა რიცხვით, ნედლი მასალის სიმცირით, ტერიტორიის ნაკლებობით და დისპროპორციით ქალაქებისა და სოფელს შორის. 70% მისი მოსახლეობისას მოუყრია თავი ქალაქებში.

აი ეს განსაკუთრებული მდგომარეობა მოითხოვს მისგან ცხოვრების ისე აწყობას, რომელსაც ორგანიზაციის მხრით არავითარი ზაღი არ უნდა ჰქონდეს. სხვა ქვეყნებს თუ კიდევ შეუძლიანთ ფუფუნება ანარქიული ცხოვრებისა, — რომელიც მათ კარგა ზარალს აყენებს — და თავის მდიდარი ახალშენების მეოხებით მისი ატანა, გერმანიას ეს არ შეუძლიან. ის ვალდებულია, იძულებული, ყველაფერი დაზოგვით და გაზომვით გამოიყენოს. ამიტომაა, რომ მისი ხსნა მხოლოდ უდიდეს ორგანიზაციაშია: ქვევიდან ზემოდ და ზემოდან ქვევით. მისი დღევანდელი მმართველობაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

არის თუ არა ეს მმართველობა ხალხის უფლების, მისი უზენაესობის უარის ყოფა?

პირველ ყოვლისა ნუ დაგვავიწყდება, რომ ნაციონალ - სოციალიზმი გაბატონდა გერმანიაში ასე ვსოდეთ, სრულიად ლეგალური გზით, ვაიმარის კონსტიტუციის საფუძველზე. უკანასკნელ არჩევნებზე, როდესაც 35 პარტია იბრძოდა ახლილად, გაბატონებულ პარტიებს კი მმართველობის მთელი აპარატი ჰქონდათ ხელში, რასაც პატარა მნიშვნელობა არა აქვს არჩევნების შედეგებისათვის, მან მიიღო 13 მილიონი ხმა, მონათესავე პარტიამ, დოიტშნაციონალებმა 4 მილიონამდე, დანარჩენი 16 მილიონი კი განაწილებულ იქმნა 33 პარტიას შორის. კონსტიტუციის ძალით უდიდესი პარტია უნდა მოსულიყო

ხელისუფლების სათავეში და ასეც მოხდა. დაუჭირა ო მხარი დოიტ-ნაციონალურმა პარტიამ, რაიხსტაგში მას შეექმნა უმრავლესობა და ეს უმრავლესობა მან გამოიყენა, როგორც უკარნახებდა მისი წარმო დგენა მმართველობაზედ.

ო არის ახალი, ოც ნაციონალ - სოციალიზმა მმართველობას საფუძვლად დაუდო. ის, რომ გადაჭრით უარპყოფს პარლამენტარიზმს, წარმომადგენლობით სისტემას, ძველს წარმოდგენას დემოკრატიაზე და ძირითად საკითხს თუ ვინ მართავს, საიდან მოდის მმართველობა, ვინ ბრძანებლობს, უპასუხებს: ხალხი, მისი ნება. დოკტორ ლეი, შრო-მის ფრონტის მმართველი და ამავე შრომის მინისტრი ამას ასე აყალი-ბებს: „ჩვენ ვდგევართ ჩვენს ძირითად საფუძველზე, ხალხია ჩვენი ძალა, საბოლოოდ ხალხისაგან გამომდინარეობს პოლიტიკური გადა-წყვეტილება“. როგორ? მით, რომ პარლამენტარულ ფორმის მაგიერ ხალხი ირჩევს თავის მეთაურს, ან უკვე არჩეულს პოლიტიკას განსაზ-ღვრულ მომენტში აღასტურებს ან უარპყოფს. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ხალხმა გამოამულავნა თავისი გადაწყვეტილება, არჩეული შეთაური ბრძანებლობს ზემოდან ქვევით უკვე ხალხის სახელით. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს ფორმა დემოკრატიისა მიუღებელია, როცა გა-მოირკვა, რომ ძველმა ძეთოდმა მმართველობისამ, „დემოკრატიამ“ ვერ გაამართლა მასზე დაკისრებული ამოცანა — ხალხის ბატონობა.

მართლაც, ამ ასორმოცდაათი წლის წინად საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ წამოსროლილმა ლოზუნგმა: ძმობა, ერთობა, თა-ვისუფლება — ჩაილულის წყალი დალია. ძმობის მაგიერ კაცის ჭამი-ობა დამყარდა, ერთობის მაგიერ გათიშვა, განხეთქილება, თავისუფ-ლება გადაიქცა აღამიანის მიერ აღამიანის ეკონომიურ დამორჩილე-ბად, ყვლეფის თავისუფლებად.

ამ საკითხზე ნოე უორდანიამ 1933 წელს გამოსცა წიგნაკი „დე-მოკრატია“. ამ წიგნაკში გაფანტულმა აზრებმა და დებულებებმა, ალბად ბევრს მის მიმღევარს მხრები ააწევინა. იქ, მაგალითად, ის აც-ხადებს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დროს პარლამენტარული წყო-ბილება არა გვქონია. ეს სხვათა შორის. მთავარია ის, რომ ამ წიგნაკ-ში ნოე უორდანია თანამედროვე დემოკრატიას საშინელ, გამანადგუ-რებელ ლახვარსა სცემს. ის აცხადბს, რომ „თანამედროვე დემოკრა-ტიის კრიზისი უდაო მოვლენაა“ (გვ. 5). „დემოკრატია ვერ ამართ-ლებს მასზე დამყარებულ გადაჭარბებულ იმედებს, ის ვერ ერევა ვერც ეკონომიურ კრიზისს, ვერც საერთაშორისო აწეწილ ურთიერ-თობას. არასოდეს არ ყოფილა ხალხთა მოურიგებლობა ისე გამწვა-ვებული, როგორც არის დღეს, დემოკრატიის მეფობაში. ძველი თქმუ-ლება — ხალხი ხალხის მტერი არ არისო, თითქოს არ მართლდება. დემოკრატიის გაბატონება გახდა გაბატონება ეკონომიური ჭაოსის და საერთაშორისო არევ დარევის“ (გვ. 6). შემდეგ: „წარმომადგენლო-ბითი სისტემა დაყრდნობილი ინდივიდუალურ საარჩევნო სისტემაზე მთავარი იარაღია ბურუუაზის ბატონობის, ნიშნობლივი თვისება მი-სი დემოკრატიის“ (გვ. 38). და ბოლოს ათავებს პარიზის კომუნის

მიმართვით ერისადმი: „მთლიანობა, რომელიც დღემდის თავს მოგვა-
ხვია იმპერიამ, მონარქიამ და პარლამენტარიზმა, არის მთლიანობა
დესპოტიური, უგუნური, თვითნებითი და საზარალო“ (გვ. 61).

როგორც ვხედავთ, ნოე უორდანიას მოწმობით, თანამედროვე
დემოკრატია გაკოტრდა, ის ცხოვრებისათვის ყოვლად გამოუსადეგა-
რია, საზარალო. მაშასადამე, მის აღაგას უნდა მოვიდეს სხვა, ახალი,
აუცილებელია ახალი ფორმა მმართველობისა.

რანაირი? უორდანია ეძებს ამ ახალ ფორმას მომავალში, განყე-
ნებულ ცნებაში, — სოციალისტურ დემოკრატიაში. მისი იდეალია
პარიზის 1871 წ. კომუნა. ის დარწმუნებულია გულუბრყვილოდ, რომ
ეს პრიმიტიული ფორმა მმართველობისა, რომელიც შეიძლება, 68
წლის წინად პარიზის სადაო და არა მთელი საფრანგეთის ცხოვრებას
გამოადგებოდა, ახლაც ჩვენი დროის გართულებულ ურთიერთობისა-
თვის ზედ გამოჭრილია. ის მით უმეტეს არის ამაში დარწმუნებული,
თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ის აცხადებს: „ცხადია, ვანდერ-
ველდე მართალია — სოციალიზმი სახელმწიფოს მტერიაო“. თუ მარ-
თლაც სოციალიზმი სახელმწიფოს მტერია, მით უარესი სოციალიზმი-
სათვის, ვინაიდან ერის, ქვეყნის უსახელმწიფოდ დატოვება — ანარ-
ქიაა, დასაბამი და წყარო ყოველგვარი დესპოტიისა. არა, დროა და-
ვანებოთ პრიმიტიულ წარმოდგენას. რეალურად შევეხოთ ცხოვრე-
ბას. ის მოითხოვს ჩვენგან დღესვე გადაჭრილ პასუხს. და ეს პასუხი
გასცა ნაციონალ - სოციალიზმმა გერმანიაში, ნახა რა, რომ დღევან-
დელმა დემოკრატიამ ქვეყანა დალუპვის პირას მიიყვანა და გასცა პა-
სუხი თავისებურად, რევოლიუციურად, თანახმად უორდანიას რწმუ-
ნებისა, რომ „რევოლიუციური მეთოდის ხმარა (?) არასოდეს არ ყო-
ფილა სადაო ჩაგრულთა წრეებში“ (გვ. 40—41).

ნაციონალ-სოციალიზმმა გადაჭრით უარჸყო „ბურჟუაზიულ ტა-
ქტიკური მსოფლმხედველობა“ და ამასთანევე მისი მეთოდი მმართვე-
ლობისა, ე.ი. სიყალბე „ბიულეტენის“ საშუალებით ხალხის სუვერე-
ნობის მითვისებისა.

ნაციონალ-სოციალიზმმა აი სწორედ ეს პარლამენტარიზმი, „ბი-
ულეტენი“ მოსპო, ალაგმა ხალხის არა მკითხე ვექილები და ენაწყლი-
ანად მეტყველნი, ბოლო მოულო ბურჟუაზიის მიერ შექმნილ ანტიხა-
ლხურ მართველობას. ამის შემდეგ სოციალისტურ წრეებს რა უფლე-
ბით, რა ლოდიკით შეუძლიათ გვიმტკიცონ ნაციონალ-სოციალიზმის
„რეაქციონერობა“, მისი „კონტრევოლუციონერობა“.

გაამართლა თუ არა ნაციონალ - სოციალიზმმა მასზე დაკისრე-
ბული მძიმე ამოცანები? ჩვენ პირველ წერილში დავინახეთ, რომ მან
გერმანიის ხალხი დაქსაქსული, დასუსტებული ეროვნულად გააერთი-
ანა, სულიერად გააძლიერა, მისცა მომავლის იმედი და რწმენა. სო-
ციალურ დარგში მან შესძლო იმაზე მეტი, რაც ყველა სოციალისტურ
პარტიებს თავიანთ „პროგრამა მინიმუმებში“ ჰქონდათ აღნიშნული.
ნამდვილი სოციალიზმი ჯერ ამა ქვეყნად არავის უნახავს და რა უფ-
ლებით მოვთხოვთ ამას ნაციონალ-სოციალიზმს? ყველა ეს მიღწევე-

ბი მან შესძლო სწორედ მმართველობის ახალი მეთოდით, დიამეტრა-
 ლურად საწინააღმდეგოთი პარლამენტარიზმისა. ქვეყნისათვის საჭირ-
 ბოროტო, გადაუდებელი საკითხები, რომელთა გადაწყვეტას პარლა-
 მენტში წინად თვეები და წლებიც უნდოდა, პარტიათა ქიშპობის გა-
 მო, და ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის კეთილდღეობას მრავალ ზა-
 რალს, ვნებას აყენებდა, დღეს ერთის დაკვრითა სწყდება. მმართველო-
 ბის აპარატი ასეთი მოქნილია. ამ გარემოებას ზოგიერთი ფრანგული
 გაზეთი, როგორც „უურნალ“, ბერლინის მომავალ გრანდიოზულ გარ-
 დაქმნის გამო გამართულ საზეიმო აქტის აღწერის შემდეგ ასე ათა-
 ვებს: „ეხლა იმაზე დავა აღარ შეიძლება, რომ სიტყვებს საქმეებიც
 მოჰყვა. ამიტომ გასაკვირველი არ არის დავადასტუროთ, რომ დრო,
 რომელმაც გეგმის წამოყენების და დღევანდელ დღეს შორის გაიარა,
 გამოყენებულია იმისათვის, რომ ყველაფერი უკვე მომზადებული ყო-
 ფილიყო. ყველაფერი აუღიათ, რაც ასაღები იყო, რაც დასანგრევი
 იყო, ის უკვე დაუნგრევიათ. რამოდენიმე წელიწადში ბერლინს ჩვენ
 ვეღარ ვიცნობთ“.

და ასეა ყველაფერში. ცხადია, რომ პარლამენტარიზმის მძიმე აპარა-
 ტი, გარდა იმ მავნე მხარეებისა, რომელზედაც ზემოდა გვქონდა სა-
 უბარი, ხშირად აუტანელ სამინისტროების კრიზისებისა, რომელიც
 ასუსტებს მმართველობას, დღევანდელ ცხოვრების ტემპისათვის ყო-
 ვლად შეუფერებელია. ან რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მთავრობას,
 მმართველობას, როდესაც მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც ამას
 წინად ბელგიის მინისტრ-პრეზიდენტს სპააკსა, ქუჩაში თავში ურტყა-
 მენ, სახეს უსისხლიანებენ და ან ჩემბერლენს, კაცს პოლიტიკაში გა-
 მობრძმედილს, თავის ქვეყნის სასიცოცხლო საქმეებისათვის გამგზა-
 ვრებულს იტალიაში, უმუშევრები „კატების კონცერტს“ უმართავენ
 ქუჩაში. თუ ამასა ჰქვია თავისუფლება, ღმერთმა მოახმაროს ის „დე-
 მოკრატიას“.

თანამედროვე დემოკრატიას იმისათვის, რომ თავისი უვარვისო-
 ბა დაემტკიცებინა, დასჭირდა 150 წელიწადი. სამართლიანობა მოით-
 ხოვს, ნაციონალ-სოციალიზმს, მის საქმიანობასაც დავაცალოთ. აქ შე-
 უძლებელია წინასწარ აღებულ აზრით მსჯელობა. საჭიროა ნაციონალ
 სოციალიზმის დაფასება მის მუშაობის შედეგებით. ეს შედეგები კი
 დღევანდლამდე დიალ რომ პოზიტიურია და ბევრ შემთხვევაში განსა-
 ცვიფრებელი.

ყველა ზემოდ თქმულს ემატება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გა-
 რემოება: კომუნისტურ რუსეთის და მისი დამქაშების საშიშროება
 მსოფლიოს ჯერ არ მოშორებია. ცნობილი პოლონელი მწერალი იან
 ოტმან ბერსონი სრულიად მართალია, როცა ამბობს, რომ თუ ტრო-
 ცკი მსოფლიოში ცეცხლის დანთებას ურა პოლიტიკით ესწრაფებო-
 და, დღევანდელი რუსეთის დიქტატორი უფრო მოხერხებულად, აუ-
 ჩქარებლად, მეთოდიურად მუშაობს ამისათვის და უცდის შესაფერს
 მომენტს, რომ ქვეყნიერება სისხლში და ცეცხლში გაახვიოს. ამ გამა-
 ნადგურებელ ძალას ე.წ. დემოკრატიული წრეები კი არ ებრძვიან, არა-

მედ მასთან კავშირში შედიან. გავიხსენოთ ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკა ბენეშის სისტემის დროს, საფრანგეთში სახალხო ფრონტი, ისპანიაში კომუნისტური რუსეთის და ყველა ჯური დემოკრატიების ერთად მოქმედება. უნდა გვეფიქრა — ბუნებრივი კი იყო — რომ სწორედ ეს დემოკრატიული ძალები პირველნი უნდა ამხედრებულიყვნენ და სასტიკი. ბრძოლა გამოეცხადებინათ ყველაზე საშინელ დიქტატურის და ტირანიის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენს დღევანდელი რუსეთი და რომელმაც პირველმა ჩასცა სასიკვდილო ლახვარი თვით ამ დემოკრატიას. ფაშიზმი უნდა ყოფილიყო ყოველშემთხვევაში ნაკლები „ბოროტება“, რომელთანაც, რასაკვირველია, შეიძლებოდა ამა თუ იმ კავშირში შესვლა საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ამის გამო, უმთავრესად, რომ დემოკრატიამ თავისი თავი დაიმარხა სამუდამოდ. ყველაზე ადრე სწორედ ამ საკითხში ნათლად გამოირკვა შინაგანი ულოლიკობა, სიყალბე, მისი დაქვეითება და დღევანდელი ცხოვრებიდან გარიყვა.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ იმ ძალამ, რომელმაც სავსებით შეიგნო თუ რა საფრთხეს უქადის მსოფლიოს ბოლშევიზმი რუსეთის მეთაურობით, ამასთანავე ისიც დაინახა, რომ ამ გამანადგურებელ ძალის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მის მოწინააღმდეგე ძალებში უდიდესი ეროვნული დისკიპლინის შექმნით. ეს შესაძლებელი ხდება, როგორც სჩანს, მმართველობის იმ სისტემის წყალობით, რომელიც შეიმუშავა ნაციონალ - სოციალიზმა. და ჩვენ ვფიქრობთ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ უკანასკნელ გარემოებაში არის ნაციონალ - სოციალიზმის უდიდესი დამსახურება და მისი ისტორიული გამართლება.

ჩვენი მსჯელობა აქ უნდა გაგვეთავებია, მაგრამ ქართველებს და საერთოდ კავკასიელებს, ეს უნდა გვაინტერესებდეს უფრო სხვა მხრითაც. ეს ძალაა, რომ ჩვენი ქვეყნის დამანგრეველს, ჩვენ ეროვნულ უფლებათა შემლახველს სამკვდრო სასიცოცხლოდ გადაეკიდა. მსოფლიოში ეს ორი ძალა ერთად ვერ მოთავსდება. ორივე ამისათვის ირაზმება, ნიადაგს ამზადებს, ძალებს იკრებს, მოკავშირეებს იძენს და ჩვენდა სასიხარულოდ, რაც დრო გადის, ჩვენი მტრის წინააღმდეგ რკალი თანდათან ვიწროვდება. დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს. და აქაც სრულიად ნათლად გამოირკვა, რომ ყველა ქვეყნის „დემოკრატიული“, „ინტერნაციონალური“ ძალები რუსეთის ფრონტში დგას. იქ მოელის თავის ხსნას (რა ხსნა იქნება ალბად დაინახავს!), ყველა ეროვნული ძალები კი მის ანტაგონისტის რიგებში პოულობენ თავის ადგილს. და ჩვენცა გვმართებს ჩვენი თავის გამორკვევა ამ ძალთა ჭიდილში! აქ არას შემთხვევაში არ გამოგვადგება ის შეხედულება, რომ ყველგან უნდა ვეძიოთ ჩვენი დამხმარე ძალები. ეს დიდ პოლიტიკურ სიბრძნეთაც კი მიაჩნიათ.

პოლიტიკური სიბრძნე კი სწორედ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ შეუმცდარად არჩეულ იქმნას ჩვენი მოკავშირე და თავის დროზე. ქართული, კავკასიური პოლიტიკა ლელოს ვერ გაიტანს, თუ აქაც იქნება

და იქაც და საბოლოოდ კი არსად, ვინაიდგან ასეთი მერყევი მოკავშირე არავის არაფრად უნდა. ის საერთაშორისო პოლიტიკიდგან გარიყული დარჩება. და ნუ თუ კიდევ ჩვენთვის სადაო უნდა იყოს, თუ სადა ჩვენი ადგილი, ვინაა ჩვენი მოკავშირე? აქ პასუხი ერთია: იქ, სადაც ჩვენი ქვეყნის მტერს ესხმიან, მასთან, ვინც მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის.

დ. სალირაშვილი



გაგალითისათვის

როდესაც გერმანიის იმპერიის სათავეში ვილჰელმ მეორე იდგა, — მთელს მსოფლიო პრესაში დიდი სახელი მოიხვეჭა ვითარცა პირველ ხარისხოვან პუბლიცისტმა, გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“ ის რედაქტორმა, თეოდორ ვოლფმა, ადამიანმა მაღალი გონიერობითი კულტურისა. პოლიტიკურ მიმართულებით ლიბერალი, მაშასადამე კონსერვატიულ გერმანიასთან ოპოზიციაში მყოფი, იგი მეგობრულ განწყობილებაში იყო ამ წრის ზოგიერთ გავლენიან პირთან, ერთი საუკეთესო მისი მეგობარი იყო ვილჰელმ მეორის კანცლერი ბიულოვი. ვითარცა უალრესად კეთილშობილი კალმოსანი, გერმანიის ინტერესებს ის დოქტრინაზე მაღლა აყენებდა; განსაკუთრებით ძლიერი იყო მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში, ვითარცა შესანიშნავი მცოდნე მსოფლიო ისტორიის და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ყველა დეტალებისა, და ამ სფეროში იგი მედგრად იცავდა ინტერესებს გერმანიის იმპერიისას.

გერმანია დამარცხდა მსოფლიო ომში, გამარჯვებულთ არ დაინდეს ერის ლირსება, სასტიკი უღელიც დაადგეს კისერზე. აქ მოხდა ის, რაც ჩვეულებრივად ხდება განათლებულ კაცობრიობაში. თავდება თუ არა ომი ბრძოლის ველზე, ზარბაზნების გრიალი, იწყება მეორე ომი, ომი ქაღალდზე. ამ ომს აწარმოებენ კალმოსნები; გამარჯვებული მხარე ცდილობს გაამართლოს ხალხის თვალში მოწინააღმდეგი მხარის მიმართ ჩადენილი სისასტიკე, მოწინააღმდეგეს გადააბრალოს მორალური პასუხისმგებლობა ომისათვის. გერმანია იქმნა ომის ერთად ერთ მიზეზად გამოცხადებული და ამიტომ პასუხისმგებლად ყველა იმ ზიანისათვის, რომელიც გერმანიამ მოწინააღმდეგეთ მიაყენა. სწორედ აქ, გერმანიის უებარმა კალმოსანმა თეოდორ ვოლფმა აიღო ის ხელთათმანი, რომელიც მოწინააღმდეგე პოლიტიკოსებმა ესროლეს გერმანიას. მთავარი სიმძიმე, რომელიც კალმოსანთ აწევთ, წილად მასა ხვდა და მანაც ლირსეულად შეასრულა თავისი როლი. ეყრდნობა რა განსაკუთრებით რუსეთის ყოფილ სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის პროცესს, მან დაამტკიცა, რომ ხმალი იშიშვლა პირველად არა გერმანიამ, არამედ რუსეთმა, მაშასადამე მოწინააღმდეგე მხარემ; სა-

ერთო მობილიზაცია პირველად რუსეთში იყო გამოცხადებული. როდესაც იგი გერმანიის მიმართ კლემანსოს პოლიტიკას ახასიათებდა, იგი უპირდაპირებდა ამ პოლიტიკას იმ სიტყვებს, რომელიც თვით კლემანსომ წარმოსთქვა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, სადაც კლემანსო გამოდიოდა უფლებრიობისა, კანონისა და სამართალის დამცველად. სწორედ ამ გერმანიის ერის ყველაზედ უფრო ტრალიკულ ხახაში, თეოდორ ვოლფის დაუღალავმა ბრძოლამ გერმანიის ერის ინტერესებისა და უფლების დაცვისათვის საგრძნობლად შეუწყო ხელი მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის მოტრიალებას გერმანიის სასარგებლოდ.

მოხდა გერმანიაში ნაციონალ - სოციალისტური გადატრიალება. თეოდორ ვოლფი, როგორც ებრაელი და თანაც ნაციონალ - სოციალისტურ მოძრაობის მოწინააღმდეგე, ემიგრაციაში მოხვდა. მას ჩამოართვეს გერმანიის ქვეშევრდომობა, მაშასადამე გახადეს უფლება ახდილ, უსამშობლო პიროვნებად, მას ჩამოართვეს აგრეთვე მთელი ქონება.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ნაციონალ - სოციალიზმი გამარჯვებული არ იყო, მისი მეთაურები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იტალიურ ფაშიზმის მეთაურებთან, ეს მოლაპარაკება გაგრძელდა შემდეგ იმისა, რაც ნაციონალ - სოციალიზმი გერმანიის სახელმწიფოს სათავეში მოექცა. მიუხედავად სულიერ ნათესაობისა, რომელიც დამყარდა გერმანიასა და იტალიას შორის, შემდევ იმისა რაც ორივე სახელმწიფოში ერთი და იგივე დოქტრინამ გაიმარჯვა, მათ შორის მაინც იყო ზღუდე, — ინტერესთა წინააღმდეგობა ცენტრალურ ევროპაში. სწორედ ამიტომ ბევრნი სკეპტიკურად უყურებდნენ ჰიტლერ-მუსოლინის მიერ დაარსებულ ბერლინ-რომის ლერძს. 1937 წელს, როდესაც ეს სკეპტიკიზმი კიდევ არ იყო სრულებით გაქარწყლებული, თეოდორ ვოლფმა მოათავსა ერთ ფრანგულ კვირეულ უურნალში წერილები ამ სათაურით: „რატომ დაიშალა 1915 წელს ბერლინ-რომის ლერძი“.

ამ წერილებში ბ. ვოლფი ეხება გერმანიისა და იტალიის ურთიერთობას წარსულში. იტალია იყო გერმანიის მოკავშირე. მის გამოსვლას გერმანიის მხარეზე ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. იტალია კი არ გაჰყვა გრმანიას ომში. შეიძლება ითქვას, ამაში გერმანული წრეები წინდაწინვე იყვნენ დარწმუნებულნი, ამას არც კი მოითხოვდნენ. მაგრამ უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ იტალიისაგან ნეიტრალიტეტი მაინც დაეცვა. ამ მიზნით იყო იტალიაში გაგზავნილი ყოფილი კანცლერი ბიულოვი, მეგობარი ვოლფისა, რომელსაც თანამეცხედრედ იტალიელი ქალი ჰქონდა და ამის გამო იტალიის გავლენიან წრეებში საკმარისად დიდი კავშირები ჰქონდა. ვოლფი კურსში იყო ბიულოვის მიერ ამ მიზნით წარმოებული მუშაობისა, ვინაიდან იტალიიდან ბიულოვი მას სისტემატიურად წერილებსა სწერდა. ბიულოვმა ვერ მიაღწია მიზანს, იტალია, გერმანიის მოკავშირე, სწყვეტს ამ კავშირს, და ერევა ომში გერმანიის საწინააღმდეგოდ. რა შესანიშნავი მასალაა სადემაგოგიოდ იტალიასთან დაკავშირების პოლიტიკის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი! მერე ვინ მოითხოვდა იტალიის მხრივ ასეთ მუხანა-

თურ საქციელის ჩადენას? ეს იყო უურნალისტი და პოლიტიკოსი ბენიტო მუსოლინი. მან ასტეხა საშინელი კომპანია თავის ორგანოში იტალიის მიერ გერმანიის წინააღმდეგ ომში გამოსვლისათვის. მან მოიარა პირადათ იტალიის მთავარი პუნქტები, სადაც კრებებს მართავდა და ამრიგად არა მარტო კალმით, არააძედ თავის უებარ ორატორული ნიჭით აქეზებდა ერს გერმანიის წინააღმდეგ. გაიმარჯვა კოალიციამ, რომელშიაც იტალია შედიოდა, უკანასკნელსაც ერგო საკმარისად გემრიელი ლუკმა გერმანიის ტერიტორიიდგან, სახელდობრ ტიროლი.

ჩაიგდო თუ არა მუსოლინმა იტალიაში ხელისუფლება, მან იწყო ტიროლელ გერმანელების მიმართ პოლიტიკა დენაციონალიზაციის, რაც გერმანელების მხრივ, რასაკვირველია წინააღმდეგობას იწვევდა. 1924 წელს ბავარიის მთავრობის თავმჯდომარე ფულდა ილაშქრებს იმ შევიწროებათა წინააღმდეგ, რომელთაც ტიროლელი გერმანელები განიცდიან იტალიაში. ამაზე მუსოლინი მრისხანე პასუხს იძლევა სენატში. პასუხს, რომელიც იმავე დროს გერმანიის წინააღმდეგ მუქარას შეიცავდა. მან სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სამფეროვანი დროშა კიდევ უფრო გავწიოთ წინ, მაგრამ ჩამოშვებით — არასოდესა“—ო. ამ მუქარის გამო გერმანიაში აზრიც დაიბადა საკითხის ერთა ლიგაში დასმისა, ვინაიდან გერმანია განიარაღებული იყო საშუალებას მოკლებული საკუთარი ძალით თავის საზღვრების დაცვის. მუსოლინს თეოდორ ვოლფმა ლირსეული პასუხი გასცა თავის ორგანოში. აი, ამ მუსოლინს, რომელიც ასე მტრულად იყო გუშინ გერმანიის მიმართ განწყობილი, რომელმაც ახლო წარსულში ასეთი როლი ითამაშა გერმანიის მიმართ, ჰიტლერი შეუკავშირდა სტატუს ქვოს ნიადაგზე. მაშასადამე გასწირა გერმანიის ის ნაწილი, რომელიც ძალით გუშინ მიაკრეს იტალიას და რომელიც როგორც ენით, სისხლით, ხორცით, აგრეთვე სულითა და გულით გერმანელებთან არიან. ვოლფს, რომელსაც მოქალაქეობა წართვეს, ქონება ჩამოართვეს, ხომ შესანიშნავი მასალა ჰქონდა კალმით მაინც შური ეძია თავის მოსისხლე პოლიტიკურ მტრებზე. მაგრამ აქაც იჩინა თავი მისმა კეთილშობილებამ, თავის სამშობლო გერმანიის ინტერესებისადმი ერთგულებამ. ის თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ათავებს:

„წარსულის ხსოვნის ლირებულება ძალას მცირეა, როდესაც საქმე შეეხება ახალი ხანის პრაქტიკულ პოლიტიკას. არავითარ მეცნიერებს ფსიქოლოგიისას, რაც უნდა ღრმა იყოს იგი, არც ერთს უნარს პოლიტიკურ ანგარიშისას არ შეუძლია 1938 წლის პოლიტიკისათვის ერთი ბეწვის ოდენი არგუმენტი იპოვოს იმ ფაქტში, რომ 1915 წელს ბერლინ - რომის ღერძი სასტიკად დაიმსხვრა. ის მისნები, რომელთა დანიშნულებას ძველი რომის იმპერიაში წარმოადგენდა მომავლის წინასწარმეტყველობა ცხოველთა შიგნეულობის საშუალებით, შეიძლება ხშირად არც კი სცდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის უნდა მოელოდეს ცუდ შედეგებს ის, ვინც ფიქრობს წარსულის შიგნეულობაში მომავლის ამოკითხვას“. ამ სიტყვებით ვოლფმა გაამართლა ჰიტლერის პოლიტიკა. რატომ უნდა იყვნენ ქართველი კალმოსნები

ისეთი უბედურნი, რომ სიახლოვეს არ ეყარება ასეთი კეთილშობილება და პასუხისმგებლობის შეგნება მოწინაღმდეგებთან ბრძოლაში? იმ მოწინააღმდეგებთან, რომელნიც სამშობლოს ინტერესებს, სკოლობენ ემსახურონ რეალური პოლიტიკით და არა მარტო ფანტაზიებითა და დემაგოგით.

ვლ. ემუხვარი



ლ ე ბ ე ნ დ ა

ლამაზია, როდესაც ზევიდგან მაღალ ჩხაკიების ფერდობებიდგან გადმოჰქმდავთ, და თვალს გააყოლებთ მშვენიერს, და ვეებერთელა დაცემულ ველს, რომელსაც იქ, შორს, შორს, მაღალი მთის ზღუდე შეუპოვრად უხვდება, და აჩერებს ამ დაცემულს და ტრიალ მინდოოს. ზემოდგან ყურს რომ დაუგდებთ, გეგონებათ მინდორი ობოლი და მუნჯი არისო, მაგრამ ახლო თუ მიხვალთ, ტრიალ ველს ჩაებმით, ნახავთ — მინდორი თავის ნორჩი სიცოცხლით სავსეა.

შესანიშნავი და ლამაზი ამ მინდვრისა ორი განუყრელი მიჯნურია: პატარა ბილიკი, და ცელქი ანკარა, ყინულივით ცივი ნაკადული. ეს ორნი, ბილიკი და ნაკადი, არ იყრებიან ვით დაწინდულნი, მედგრად და შეუპოვრად, გადასჭრიან ამ უზარმაზარ ველს. დილით, როდესაც ამ პატარა ნაკადულს მზის სხივები დაეკონება, და მისი ანარეკლი ბილიკზე იაგუნდივით მოიფინება, მაშინ გაათკეცებულს იხილავთ ამ ნაკადულის მშვენიერებას.

ბილიკი უხმოა, დალვრემილია თითქო, ნაკადი კი გვერდით მიურბის, ულიმის, ეხუმრება რაღაცას, საიდუმლოდ ედუდუნება; ხანდახან რაღაც გაკვირვებით შესდგება, მერე უცებ მოსწყდება, გამოეკიდება — გეგონებათ ბილიკი გაურბისო — გიუური სიჩქარით გამოუდგება. ხანდახან ბილიკი წყალს დაშორდება, ნაკადს ჰვონია, ბილიკი გამირბის, ისეთი მწარე, მდუღარე გულის ამონაკვნესით ლულლულებს: რისთვის მტოვებ, ნუ დამტოვ....

და ბილიკი ისევ ნაკადთან ბრუნდება, გეგონება შეიცოდაო. და აი, ეს ორნი, მიღიან, მიღიან ვიღრე დიდ ზღუდეს წააწყდებიან.

ამ ნაკადულისა და ბილიკის ამბავი ჩვენმა მეწისქვილემ მიამბო: დიდი ხანია მას შემდეგ, ერთ ულრან ტყეში, სადაც ადამიანის ფეხი არ დადგმულა, საარაკო ამბავი მომხდარა.

ნაღირობით დაღლილი მონადირე, ჩრდილს წამოსწოლოდა. უეკარმა ხმაურმა გამოაფხიზლა. უცხო სანახავი წარმოუდგა...

მშვენიერი, ლერწამივით მოსხლეტილი და ციური სილამაზით ალსავსე არსება. მონადირე გაყუჩებული შესცემეროდა, გეგონებოდათ, მისი გულის ხმაური გაიძახოდა: გიპოვე, გიპოვეო. ქალიც მოხიბლული გაშტერებით შესცემეროდა...

და აქ იხილეს ის მშვენიერი განცდები, რასაც თურმე სიყვარულს უძახდნენ. მათ ბედნიერებას აღამიანის ენაც ვერ ასწერდა, მათ სიყვარულს და ბედს კი, ტყის სიმშვენიერე ავსებდა.

გადაეწყვიტნათ დაბლა არ ჩამოსულიყვნენ და თავიანთი, ბუნებასთან ნარევი, ფაქიზი და უმწიკლო სიყვარული ხალხში არ ჩამოეტანათ, რადგან ცხოვრების ფერხული, მათ სიყვარულსაც გააჭუჭყიანებდა. და აი სცხოვრობდნენ, თავისთვის ლალად, ბედნიერად, თავისუფლად.

დღე დღეს ემატებოდა, დრო გადიოდა, მაგრამ ამათი სიყვარული, როგორც ფიჭვის მუგუზალი უფრო ღვივდებოდა, უფრო იზრდებოდა, და გალუებულს ნაკვერჩხალს ემსგავსებოდა.

ერთ დღეს ვაჟი, სანადიროდ წასულიყო, და ლამით დაპერვიანებოდა, ქალის მთრთოლვარე გულს ვერ მოეთმინა და საძებნად გამოსულიყო. მაგრამ დიდი ბედნიერება აღამიანისათვის ხომ არ არსებობს. და დილით, როდესაც ვაჟი ნანადირევით სახლს დაუბრუნდა, ქალი ვერა ნახა. გულმა უბედურება აცნობა. გიუისავით დარბის, ეძებს, უძახის, მაგრამ ქალის მაგიერ თავისი ხმა ესმის, ანარეკლი, მეორე მთიდან. ეძებს, ეძებს, უძახის... ამაოდ.

და უცებ ერთ დიდ უფსკრულს წააწყდა, ჩაიხედა და შორს, უფსკრულის ძირას, რაღაცა ნაცნობი დაინახა. გადარეული დაბლა დაეშვა და....

დიდი ხანი უხმოდ, ცრემლიანი თვალებით დასტიროდა. შემდეგ ხელთ აიყვანა, გულზედ მიიკრა, და ბარისაკენ ნელა, უაზროდ დაეშვა. მისი გამომტყველება, მარტო იმას თუ გამოპატავდა — მომეცათ, ჩემი საუნჯე მომაქვს, გზად ნუ გადამელობებით, არ წამართვათო. და გაშმაგებით და უფრო მძლავრად იკრავს გულში თავის საუნჯეს.

მიღის, მიღის, გადასჭრა დიდი მინდორი, და იქ შორს, შორს, საღაც რომ მინდორს, მტკვარი და ზღუდე აშენებია, და ეუბნება იქით აღარ გაგიშვებო, აი იქ ენახათ უკანასკნელად.

ამბობენ იმ უფსკრულში, საღაცა ქალი გადავარდნილა, იმ ადგილიდან მშვენიერ წყაროს გადმოუხეთქავს, და ვაჟს პატარა ნაკადად ასდევნებია, ვაჟის ნავალი ბილიკად გადაჭცეულა. იმ დღიდან თურმე პატარა ნაკადი, ბილიკს არა შორდება, გვერდით მიურბის, ეხვეწება, პატიებას სთხოვს, ნააღრევად სიყვარული შეგიწყვიტეო, ბილიკი უხმა, დადუმებული, მაგრამა ნაკადს არა ჰშორდება.

ზურაბ ციციშვილი

ახალის არსი და წარსულის გაკვეთილები

მრავალჯერ აღნიშნულა და ცხოვრების მიერ დადასტურებულა ეროვნულის პრიმატობა. მხოლოდ, როცა გაქვთ ეროვნულობა — გე-ქნებათ სოციალურობაც და პირველში ანალდებთ მეორეს. ამიტომაც პროგრესიულად მიგვიჩინია თანამედროობაში ჯერ ნაციონალურის განმტკიცება. მასში ვხედავთ ერების, მაშასადამე საერთაშორისო მი-ლწევასაც, ამით ცივილიზაციის ზრდას და ამავე გზით სოციალურ გა-უმჯობესებათა მოახლოებასაც. მხოლოდ ასეთი გაგებით გვაინტერე-სებს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური მოვლენები. ადვილი ჩამოსათვლელია ერებ-ქვეყნები, სადაც მეტნაკლებად გამახვილდა აღ-ნიშნული სინამდვილე და თითქოს მთელი კაცობრიობაა შემდგარი ამ გზაზე. ჭართველ ერსა აქვს თავისი სპეციფიური გარემოება — სვლა, როგორც ყოველ ერს და ბრძა მიმბაძველობა არ გამოაღება. ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ამ ახალის ზრდის პროცესში საბოლოო ფო-რმაცია და მაშასადამე უნაკლო, ჯერ არ მოგვეპოვება. ეს მოვლენა ახალისა უფრო შინაგანი და ღრმა პროცესია, ვინემ ფორმალურ-გა-რეგნული. მაგრამ მისკენ (ნაციონალურობისაკენ, ეროვნულობისა-კენ და მასში სოციალურობის დაკმაყოფილება - გადაწყვეტისაკენ) მიექანება კაცობრიობის ისტორია.

ურიცხვ გამოცემებისა, განმმარტებელ შესწავლა-წერილების გა-რეშედაც, ყოველ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ამ ახალის ზო-გად პრინციპ-დებულებებს გაეცნოს ობიექტიურ დაკვირვება-ყურად-ლებით. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი მიაგნოთ მის ნამდვილ არს-სა. მაშინ ვნახავთ თუ რამდენად სერიოზულია ცდები კლასთა შეთან-ხმებისათვის, შრომა — კაპიტალის კონფლიქტის მოგვარებისათვის და ამით საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაპიტალისტურ, და მის ატრი-ბუტ მარქსიზმის გარემოს გათავება. ერის ყველა ნაწილის ეროვნულ საზოგადოებრიობაში ამაღლების ტენდენციით, ცხოვრების ყოველ დარგსა და კლასში მოვალეობის (შეგნების) დაკანონებით. ეროვნულ საზოგადოებასთან ყველა თანასწორი და მოვალეა. იქმნება ახალი ადამიანი ახალი ფსიქოლოგია - ნორმებით. და ყველა ეს ხდება თვი-თეული ერის თავის თავის მიგნება-შეგნებით, მთლიან ეროვნულობი-სა და ისტორიულობის გაგებით, სპეციფიურობით. ეს ახალი სწორედ მაშინ იწყებს წარმოშობა-ზრდას, როცა დადგა ძველის დეკადანსი.

დღევანდელ გერმანიას წინ უძლოდა შპენგლერი „ევროპის ალსა-სრული“თ. იქვე დასაბუთდა ლისტის ეროვნული ეკონომიკის პრინცი-პები (ფ. ლისტ. „სისტემ ნასიონალ დეკონომი პოლიტიკ“). ხოლო იქ, ამ ჩასახულმა ახალმა, მწვავე ხასიათი მიიღო მსოფლიო ომის შედე-გებითაც გამოწვეული ერის განსაკუთრებული მდგომარეობით და აუცილებლობით.

თანამედროვე წარმავალ ხანაში, ინდივიდუალიზმით დაკნინებუ-ლი, ტექნიკურ პროგრესით დამორჩილებული და მატერიალიზმით

დაავადებული, გაღრმავდა კლასიურობა, ანტისაზოგადოებრიობა, — ერთიანობისა, მთლიანობისა და სოლიდარობის წინააღმდეგ. ეგოისტური გარემო სჭარბობს საერთო მოტივს. მდიდარი და ღარიბიც ეგოიზმის მორევში სცურავს. და ეს ავსებს ნაციონალურსა და სოციალურ ცხოვრებას. საზოგადოება ამ მორევიდან უნდა გამოვიდეს, ცივილიზაცია უნდა გადარჩეს. აქედან წარმოიშვა ახალი და მან უნდა შვა; უკეთესი, მორალისა და საერთო აწევით. კლასიურობისა და სოციალურ ჯგუფების, უმაღლეს საზოგადოება, — ეროვნულ კოლექტივთან უკელას სოლიდარობით. საერთო ინტერესის მიგნებით ეროვნულ საზოგადოებრიობაში. საამისო გარდატეხა და ამის შეგნება, მისი საყოველთაოდ მიღება და განაღდება, საბოლოო დადგინდებამდის, ითხოვს საჭირო რწმენას, ან უკეთ მისტიკას.

დღეგანდელ იტალიასაც წინ უძლოდა თავისი ისტორია, რომაელობა, რენესანსი და სხვ. გარიბალდისა და მაზინის სწავლა-მაგალითი. მკითხველს მიუთითებთ გამოცემას (წიგნს): «*Psychologia de Bysoginneuto*», J. Nemo-სი, რომელიც იმავე დროს გადმოგვცემს მე-19-დან მე 20 საუკუნემდე იტალიის პოლიტიკურ ევოლუციას. აქვე აღვნიშნავ: — „ეკონომიკი ფაშისტ“, გ. ტასინარი და „ლე კორპორასიონ“. რომი. ა.ნ. 13. ყველა ამათში ნათლადა სჩანს ის ზემოდ აღნიშნული დიდი, სერიოზული ცდა-ამოცანები, ერთ წერტილზე გაყინვის მაგიერ მუდმივ ძიება — დინამიზმის აღიარებით, რომელთა მოგვარებისათვის იბრძვის, ვითარდება ერი.

იმგვარივე დებულებების ირგვლივ იღწვის დემოკრატიული ინსტიტუტებიც, პარლამენტარული თუ რეპრეზანტატიული. თანამედროვე პოლონეთი ამ ინსტანციებით შეუდგა მის განმტკიცებას. მასა ჰყავდა საამისოდ უდაო და განწყობილი შეფი — პილსუდსკი*).

ამრიგად, ყველა ერი, საკუთარ გეოპოლიტიკურ პირობათა და შეგნების მომწიფების მიხედვით ადგენს და ავითარებს თავის ეროვნული განმტკიცების საშუალებათ და საბოლოო ყალიბს. ესაა მათი ბუნებრივი გზის მიგნება, შეფარდებული დროსა და გარემოსთან, განათებული იდეალით — ერი და პიროვნება.

ცხოვრების სინამდვილემ დასვა საკითხი არა ასე კაპიტალიზმი თუ კოლექტივიზმი, ანუ რომელი ამათგანი უფრო პრაქტიკულია (მატერიალიზმი), — არამედ, თუ როგორი ნორმებ-მორალით და საზოგადოებრივი დამოკიდებულებითაა საჭირო ცხოვრების მოწყობა; თუ რას ითხოვს სულიერ-საგნობრივი ვითარება და რა ვითარდება-მტკი-

*) მხოლოდ ვითომდა ახალის მესვეურ საბჭოთა მარქსისტულ რუსეთში დამყარდა ბარბაროსობა. საღაც მარქსიზმი ბუდობს და თარეშობს, იქ იღვრება უამრავი სისხლი და იკარგება აღამიანი, საზოგადოება თუ ერი. ის ვერ ინელებს ვერავთარ ეთიკას, მორალურ ნორმა-კანონს, იქ არაა არავითარი მყარი კანონიერება, მაშასადამე არც შეიძლება იყვეს სამართალი.

ცდება (აღამიანი დამოკიდებულ - დამორჩილებულია პროდუქციისა-
გან, თუ პროდუქცია უნდა ემორჩილებოდეს აღამიანს, აღამიანობას
და აქედან გამომდინარე ეთიკას, მორალს).

ახალი სინამდვილე ერების განმტკიცებაში გვიჩვენებს, რომ რა-
მდენადაც სულიერად და საგნობრივად, კულტურულად, თავისი თა-
ვის შეგნებით და აქედან გამომდინარე რწმენით (მისტიკით) მომარა-
გებულია ერი, იმდენად უკეთ და ადვილად იცავს და მიმართავს იგი
თავის ბედსა*).

ამისათვის, ამის სამსახურში უნდა იყოს ყველა სალი და ეროვ-
ნული მოვლენა, მისწრაფება, მოძრაობა, მოძლვრება.

როგორია ამ მხრივ ჩვენი მარქსიზმი (რადგან საქართველოს სი-
ნამდვილეში კაპიტალიზმს დასრულება არა ლირსებია და მარქსიზმი
კი, მისი პირმშო — დღესაც დათარეშობს იქა) ზოგიერთი წარსულის
მაგალითებით?

ყველასათვის ცნობილია, რომ დიდმა ილია ჭავჭავაძემ ქართვე-
ლი ერის მიძინებული მაჯის ცემა აღძრა და ეროვნულ კერას მაღ-
ლიანი სული ჩატერა და გააღვივა.

მან გაამთელა, გადააბა ერის ისტორია-ცხოვრება გარდატეხის
ჯვარედინზედ მიმდგარი. არჩ. ჯორჯაძე მის შესახებ ამბობს: „ი. ჭა-
ვჭავაძის ნაწერებს რომ ეცნობით, თქვენთვის აშკარა ხდება ის აზრი,
რომ მწერლის მთავარი საზრუნავი — ეროვნების დაცვა და მოსარჩ-
ლეობა იყო“ (წიგნი პირველი, გვ. 144). ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვე-
ნში მამულის სიყვარული იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ
გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი,
ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში
სრულად არ არის“. („მოამბე“ № 6. 1901 წ.).

არჩილ ჯორჯაძე დასძენს: „ფსიხოლოგიურ საფუძველს ქართუ-
ლი ეროვნული მოძრაობისა, თუ გნებავთ, ამაში პოებთ“-ო. ხოლო
რათა დაუბრუნდეთ დასმულ საკითხს, ვიცით რომ, როცა ქართველი
თავად-აზნაურობა მიწას ჰკარგავდა, ი. ჭავჭავაძე ზრუნავდა ქართუ-
ლი მიწა ქართველ ხალხს დარჩენოდა. ქართველი გლეხ-კაცის გამემა-
მულებაზე იღვწიოდა. ჩვენი მარქსისტები ამ ეროვნული საქმიანობი-
სათვის მას „რეაქციონერად“ სახავდნენ და ამით ეროვნულ საქმიანო-
ბას ხელს უშლიდნენ. „ბ-ნი ან-ი უსაყვედურებდა „ივერიელთ“ —თა-
ვად-აზნაურობის და მეურნეობის მოსარჩევი და დამცველი ხარ-
თო“. პირველი საყვედური, ცხადია, მოკლებულია საფუძველს, რად-
გან ილია ამბობდა: „ქვეყანაზე მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლი-
ერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუგნია და მიუგნია, რომ ერ-
თის რომელისამე წოდების წინ წაწევა არათრის მაქნისია, თუ დანარ-
ჩენი ერიც არ წაწეულა; პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანა-
რჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“-ო. (იხ. „ძველი თაობა“, „მოამბე“

*) „რევეი დე ლეროპ“, ბ. დე შუვენელ.

№ 9. 1901 წელი). როგორც ვხედავთ „აქ წოდებრივ უპირატესობაზე კი არ არის ლაპარაკი არაშედ თანხმობაზე და სოლიდარობაზე“. აქ არაა არც ფეოდალობა და არც რეაქციონერობა. საკითხავია თუ რად სჩადიოდნენ ამას ჩვენი მრჯვისტები?!

ს. ურუშაძე

(დასასრული იქნება)



ნოემბრის პრეზა

გასული წელი, პარიზის ქართველ ემიგრაციისათვის მრავალი სენაციებით დამთავრდა. ერთი სენაციის ერთი მხარე ის იყო, რომ ბ. სპ. კედიამ მრავალი წლის სიჩუმე დაარღვია და აქტიური პოლიტიკური მუშაობა მოინდომა.

ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, მისი მიმღევრები, რომ ბ. ს. კედია ერთ დღეს სიტყვას იტყოდა და ეს სიტყვა იქნებოდა ერთგვარი მოდუსის გამონახვა და გაერთიანება იმ მემარჯვენე პატრიოტული ორგანიზაციებისა, რომელნიც ასე გამრავლდა საზღვარგარედ. რასაკვირველია ამ გაერთიანებაში უნდა შესულიყვნენ, ქართველი პატრიოტი მხედრები საქართველოს ჯარების მთავარ სარდალ გენერალ კვინიტაძეს მეთაურობით. უნდა შესულიყო „შეფიცულთა“ ჯგუფი და ემიგრანტული მასა, რომელიც ყოველთვის პატრიოტული იყო. არ ვივიწყებდით არც სოცილა-დემოკრატების იმ ახალგაზრდობის ნაწილს, რომელიც ჩვენსავით მსხვერპლი იყო იმ უკულმართი მართველობის, რომლის იდეოლოგიამ და პოლიტიკამ საქართველო უბედურობაში გადასჩენა, მაგრამ ერთი გარკვეული პირობით, რომ უამთა მსვლელობაში ეს ხალხი სავსებით შეგნებულად უარყოფდა მარჯვისტულ იდებს და აღზნებულნი პატრიოტული გრძნობით, თითო-თითო, პერსონალურად ამ გაერთიანებას მიეკედლებოდა.

აი, დაახლოვებით როგორ გვესმოდა ჩვენ გაერთიანების საკითხი. ეს იყო აგრეთვე აჯანყების შემდეგ, საქ. ერ. დემ. პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, 1925—26 წ. იქ, საქართველოში, სადაც არა ერთხელ სცადეს ქართველ მენშევიკებმა ჩვნთან კავშირი გაებათ, რაზედაც ყოველთვის კატეგორიულ უარს იღებდნენ. ამას იზიარებდა აქ, საზღვარ გარეთ ბ. სპ. კედია და ამიტომ ჩვენც მას მივდევდით.

წარსული წლის ნოემბერში კი მოხდა უცნაური კრება, რომლის მომწყობი და ხელმძღვანელი იყო იგივე ბ. ს. კედია. ამ კრების საერთო პოლიტიკურ მხარეს მე არ შევეხები. ერთს კი ვიტყვი გაკვრით, რომ თუ მოიძებნება დღეს, კიდევ ერთი ქართველი ნაციონალისტი, რომელსაც სჯერა, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესებისათვის საჭიროა კავშირის გაბმა მეორე ინტერნაციონალის წევრებთან, ქარ-

თველ გასონებთან, ქართველ ბენეშ-ნეგრინებთან და ამ მიზნით ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციებსაც კი დაშლის, ასეთი ნაციონალისტი ლირისი ყოფილა ამ კავშირის და გზაც იქითა ჰქონია.

საინტერესოა თუ ვინ დაესწრო ამ კრებას. ვიტყოდი ერთი სიტყვით, ყველა მენშევიკები, მაგრამ ვფიქრობ ვინმე ნაწყენი არ დამრჩეს, რადგანაც ამ მენშევიკებში ზოგი „ყოფილი“ მენშევიკი იყო და ზოგიც (ღმერთო შეგცოდე! გ.კ.) ალბად მომავალიც. ამიტომ ჩამოვთვლი რიგზე: მემარცხენე მენშევიკები, სოციალისტური აზრის მატარებელი მენშევიკები, მემარჯვენე მენშევიკები, მთავრობის ზოგიერთი წევრები — იგივე მენშევიკები, ცენტრის მენშევიკები, უურნალ „ქართლოსის“ ხელმძღვანელები, „ყოფილი“ მენშევიკები, ცენტრში მყოფი და ცენტრის გარშემო მოსიარულე მობერებული და პოლიტიკურად მოთავებული ქართველი პატრიოტები. ორი თეთრი გიორგი და თუ ამათთან ერთად მხედველობაში არ მივიღებთ იმ ორს თუ სამს ქართველ ნაციონალისტს, რომელნიც უფრო კურიოზისათვის დაესწრენ პირველ კრებას, ეს უფრო მენშევიკური პარტიის და მისი ცენტრის კრებას ჰქონდა.

ამ კრებაზე არ იყო მოწვეული, არც ერთი ქართველი ნაციონალისტი, რომელნიც ყოველთვის კაპიტალურ მუშაობას და ბრძოლას აწარმოებდნენ, სოციალისტურ და მარქსისტულ იდეოლოგიის გამტარებელ, ქართველ მენშევიკების წინააღმდეგ. არ იყვნენ მიწვეულნი არც ქართველი მხედრები, ეს ერთ ერთი მთავარი ძალა და იმედი, მომავალი ძლიერი და თავისუფალი საქართველოსი. ამ ხალხის არ მოპატიუება ამ ნოემბრის კრებაზე, რაღაც „სპეციფიური“ ახსნა განმარტებით, როგორც ამას კრების მომწყობი ამბობს, არ არის სწორი და მართალი. თუ ამ ხალხის მოწვევა „შიშს“ იწვევდა ქართულ დამჯდარ კრებაზე, მაშინ აღარც შობის ხეზე უნდა მოეწვიათ მთვრალ ხალხში, სადაც წრეულ ღვინო-შამპანიური და რუსული ვოდკაც ბევრი იყიდებოდა და ამბობენ, ძალიან ხელმისაწვდომ ფასებშიაც. მაგრამ ეს გაკვრით, ჩემი წერილის მიზანი სულ სხვა არის.

ამ „ისტორიულ“ კრებაზე, ბ. სპ. კედიამ განაცხადა, რომ მას დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, პოზიტიური მუშაობა სურს და ამ მიზნით ის ხელს უწვდის „ყველას“ და მათ შორის ქართველ მენშევიკებს, რომლის წარსულ დამლუპველ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ სავსებით ხაზს უსვამს. ამისათვის კი საჭიროა სულიერი ამაღლება; ყველა ქართული ორგანოების გაუქმება და ერთი მთლიანის გამოცემა; ყველა ქართული ორგანიზაციების დაშლა და გაერთიანება ერთს ეროვნულ ერთობაში (უკანასკნელი პოზიცია „ქართლოსის“, ნოზაძე „ყოფილი“ მენშევიკი).

არ ვიცი შეიძლება თუ არა რისიმე გაკეთება ქართულ ემიგრაციაში, დაშლით და დანგრევით? ერთი უდავოა, რომ ერთმა დიდ ერმაც მოინდომა ყველაფრის დანგრევა და ამ ნანგრევებზე ახალი სამოთხის აშენება ამ ქვეყნად; თუ რამდენად მიახწია თავის მიზანს, ეს ყველამ იცის, იმას თვითონ მოელის დაშლაც და დანგრევაც და სულ მოკლე

ხანშიაც. ჩემი ღრმა რწმენით არავითარი პოზიტიური საქმე არ იწყობა არც დაშლით და არც არსებულის დანგრევით, კიდევაც რომ შეგვეძლოს და ამის უფლებაც რომ გვქონდეს.

მენშევიკურ ფრონტში ბევრი შედის და გამოდის, დღესაც მის ცენტრში ერ. დემ. პარტიის ორი ჯგუფი შედის, ცალ-ცალკე, ძალიან კარგადაც თავსდებიან ერთ მეორეში და მიუხედავად მცირე რიცხოვნობისა, ამაურბენ კიდევაც თავის ჯგუფებით და წინააღმდეგიც არიან მისი დაშლისა. „ეს მხოლოდ ანარქიას შექმნისო“ — სწერს უურნალი „სამშობლო“. ამ ხალხს სწორედ ის გვაშორებს, რომ ესენი მენშევიკების ცენტრში არიან და მათ ზურგს უმაგრებენ, სწორედ იმას, რასაც დღეს ბ. სპ. კედია იმეორებს და ეს გზა მრავლად თელილი ერ. დემოკრატიული პარტიის ლიდერების მიერ, კიდევ ერთხელ გავლილ იქმნა. კიდევ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთი ლიდერის მიერ და ეს ლიდერი ბ. ს. კედია არის. მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ ძველი კადრი შედარებით თავის დროზე მივიდა, ძალიან მორიდებით თავის მიმდევრები წაიყვანა და ჩუმად ეს სამარცხვინო გზა გაიარა, ბ. ს. კედიამ ქარ-ბუქი ააყენა, პოლიტიკის კორიანტელი შეჰქმნა, ორგანიზაცია დაშალა და მენშევიკების ცენტრის კარებს მიადგა.

აქვს თუ არა უფლება ვისმეს დაშალოს ერ. დემ. პარტიის ორგანიზაცია თუნდაც პარიზში და თუნდაც ეს დამშლელი ბ. სპ. კედია იყვეს? რასაკვირველია არა. ეს პარტია საქართველოში ჩაისახა, იზარდა და ხორცი შეისხა, იქ, საღაც დღესაც ამ პარტიის დროშის ქვეშ გახვეული სამი ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბუტირკის ციხეში ზის, ათასობით გადასახლებული რუსეთის ცივ ქვეყნბეში, ათი-ათასობით გაფანტულნი თვით საქართველოში, ვინც მართალნი აღმოჩნდნენ და იდეოლოგიურად გამარჯვებული არიან. ამ მიმართულების ორგანიზაციების დაშლა თუნდაც პარიზში, ცოტა გადაჭარბებული და მძიმე ტვირთის აღება არის, ერთი კაცის თავზე.

სხვებთან ერთად ერ. დემ. პარტიამ უდიდესი მსხვერპლი გაილო წინადაც და განსაკუთრებით 1924 წლის შვიდს დღეში, შვიდი ათასი ვაჟკაცის საფლავი გაითხარა. ყველა ამის წაშლა, ყველა ამაზე ხაზის გადასმა, დავიწყება, ცუდი სამსახურია არა მარტო იმ პარტიისათვის, რომელსაც ბ. სპ. კედია ეკუთვნის, არამედ იმ სამშობლოს მიმართ, რომელსაც ჩვენც ვეკუთვნით. ნუ თუ თქვენ გვინიათ, რომ აოხრებული ქართული პატრიარქალური ოჯახის ქვრივნი და ობოლნიც ასე ადვილად გაღუსვამენ ხაზს მათს წარსულს და აწმყოს, სავსე სიბოროტით და შავი ზრახვა - პროვოკაციებით? როცა საუკეთესო მამული-შვილებს მენშევიკები აბეზლებენ ერის წინაშე და მათ შორის თვითონ ბ-ნ სპ. კედიას, როგორც ჩეკის აგენტებს და პროვოკატორებს; ამ საიდუმლო ცნობას ასე ლამაზად ჩავარდნილს ჩეკის ხელში და კომუნისტის ფურცლებზე ვეებერთელა ასოებით გამოქვეყნებულს, ყველას დასანახავად და გასაგონად. ისინი დღესაც სთელავენ ძვირფას საფლავებს, ვინც მართლა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ერის წინაშე და ბევრი, კიდევ ბევრი სხვა.

ბევრჯერ ისარგებლა მტერმა წარსულში, ქართველი ნაციონალისტის კეთილშობილებით, მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს. დღეს ჩვენ გამარჯვებულნი ვართ იდეოლოგიურად და გამარჯვებულნი პოლიტიკურად, ყველა მართალნი თუ სული ბოროტნი უნდა წარვსდგეთ ქართველი ერის სამსჯავროს წინაშე და ვაი იმ დღეს უამსა განაჩენისა. ძნელია წვედრი იმ ქართველი ნაციონალისტების, ვინც აზეირთებული ისტორიის ტალღების წინააღმდეგ იბრძვის, ვისაც ისტორიის შეჩერაბა სურს.

იქვე, ამ კრებაზე, საგარეო საქმეთა „მინისტრმა“ ბ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ „შეფიცულების დროშის ქვეშ დადგომა ერის ინტერესებისათვის საშიში და საზიანო იქნებოდა“. აი პირველი პასუხი მენშევიკებისაგან ბ. სპ. კედიას გაერთიანებაზე. ჩვენ, „მინისტრის“ და მისი პარტიის დროშას კარგად ვიცნობთ, ეს ერთფეროვანი დროშა არის და მისი ფერი წითელი ფერია. ჯერ ბევრია ცოცხალი, ვინც საკუთარი თვალით იხილა მათი დროშა, თბილისის სასახლის თავზე აფრიალებული და ეს ფერი ვიმეორებ, წითელი ფერი იყო. თუ ეს დროშა სამთეროვან დროშით შეიცვალა, ესეც დიდი ბრძოლის შემდეგ და უფრო ტაკტიკური მიზნით მათ მიერ და არა შეგნებით, მჩქამსით და იდეალით. მაგრამ ამ კრებაზე, ბ. სპ. კედიას მეთაურობით, არ აღმოჩნდა არც ერთი პატრიოტი, არც ერთი ნაციონალისტი, რომელსაც უბრალო ეთიკის გულისათვის მაინც, ცხედრის და ძეირფას ქაქუცას საფლავის წინაშე, ეთქვა, რომ ეროვნული გმირის და შეფიცულების დროშა, სამთეროვანი დროშაა, იგი ქართული ეროვნული დროშა არის, და ამ დროშის ქვეშ დადგომა, დიალ რომ ლალატია ქართველი ერის მიმართ. კიდევ ერთხელ ჩასცხო მენშევიკის ძერამ თავის გამხმარი ნისკარტი გამხდარ ქაქუცას გვამს.

კლდეში და ლრეში, თოვლში, მშიერნი და მწყურვალენი, ეს ხალხი იარაღით ხელში, ოთხი წლის გამავლობაში გაშმაგებული იბრძოდა, რათა სირცხვილი მოეწმინდა სამშობლისათვის, სწორედ მათ მიერ მიყენებული — ვინც დღესაც მათ გუნდას და ქვას ესვრის.

დიალ, დადგება დრო, როცა ყველას მოეთხოვება პასუხი და არც მე ვფიქრობ, რომ ეს პსუხი იოლი იქნება იმათვის ვინც დღესაც ასე უსინდისოთ სთელავს წმინდა საფლავებს, — ვინც დღესაც ასე გაშმაგებით ებრძვის თუნდაც „კავკაზის“ მეთაურობას. ებრძვიან არა მათს პოლიტიკურ პოზიციას, არამედ როგორც პიროვნებებს, როგორც ქართველ პატრიოტებს, რომელნიც თავგანწირულნი იბრძვიან მტრის მიერ დაპყრობილ სამშობლოს განსათავისუფლებლად.

გიორგი კახაბერი

პ რ ე ს ა

„ბრძოლის ხმა“ №5 აცხადებდა „საქ. ს.დ.პ. საზღვარ გარეთელ ბიუროს“ მოწოდებას, საქ. სოც. დემ. პარტიის ისტორიის დაწერისათვის. განზრახვა ფრიად სასარგებლო, რომ ჩვეულებრივი მენშევიკური ონიბაზობა არა სდევდეს თანა. ჯერ ერთი, ეს მოწოდება უფრო ჰგავს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა დაიწეროს ეს „თითქმის ნახევარ საუკუნის ისტორია... ბრწყინვალე ფურცლებით ქართველი ხალხის ისტორიაში... წარუშლელი კვალით... ეროვნულ-კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ (?!) ზრდა-განვითარებაში...“ და სხვ.

მერე, ქვეყანამ იცის, რომ ამ „ისტორიის“ დასაწერად, აგერ რამდენი წელიწადია გროვდება „მასალა“ და „საბუთები“... ლიოვილში, დამზადებულიც არის ყველაფერი ძველი ქურუმებისაგან და მოწოდებაც, უკვე გაკეთებულ საქმეში მონაწილეობის მისაღებად, თვალის ახვევაა ამხანაგებისათვის და სარა-ამხანაგთათვისაც.

საინტერესოა მხოლოდ, როგორ უნდა მოკვარახჭინდეს „ნახევარ საუკუნის ისტორია საქართველოს ს. დ. პარტიისა“, როცა ამ ნახევარ-საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა მხოლოდ „რუსეთის სოც. დემ. პ. პარტია“ და მეორე ნახევარშიაც (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, დაახლოებით, ექვსი თვის შემდეგ და აქეთ) კიდევ დიდ ხანს მისტიროდნენ მენშევიკები უკვე არ არსებულ „რუსეთის სოც. დემოკრატიას“ და რუსეთის დემოკრატიას?

მართალია, რუსეთის თვითმშეკრობელობის დანგრევას ხელს უწყობდა „რუსეთის სოც. დემ. პარტია“ და ამაში მენშევიკები, როგორც ცალკე წევრნი რუსეთის პარტიისა, მართლაც, შეიძლება ითქვას, გმირულ როლს თამაშობდნენ, მაგრამ რუსეთის თვითმშეკრობელობის და რუსეთის დანგრევაც, — „რომლის დანგრევას ქართველი ხალხისათვის უთუოდ უნდა გაეხსნა, — და კიდევაც გაუხსნა — გზა ეროვნულ სუვერენობის აღდგენისაკენ“ („ბრძოლის ხმა“ № 5) — მოახდინა გერმანიის შეიარაღებულმა მუშტმა, თორემ არც რუსეთის სოც. დემოკრატიას, არც ქართველ მენშევიკებს, არასოდეს არამ ცთუ გზა არ გაუხსნიათ საქართველოს სუვერენობისათვის, არამედ მუდამ ხერგავდნენ ამ გზებს, რადგან „ერთი და განუყოფელი“ რუსეთის ერთგული გმირები იყვნენ.

ფერის ცვლა ცალკე ადამიანს შეუძლიან, მაგრამ ბიოგრაფიისა, პოსტ ფაკტუმ — არა! ფერისცვლა პარტიასც შეუძლიან (ამის მეტს რას ეკეთებენ მენშევიკები), მაგრამ ისტორიის გაყალბება, ვერ ჩაითვლება... მეცნიერულ სინამდვილედ. უცვლელი მხოლოდ ერთი და ქართველმა ეროვნულმა სულმა თქვენ დაგაჩოქათ თავისი სამფეროვანი დროშის წინაშე! მაგრამ „ყველა, ვინც გულში ხელის ცემით იძანის: უფალო, უფალო!-ს, კი ვერ შევა სასუფეველსა შინა“. თქვენ გულწრფელად უნდა გადარჩულდეთ, რომ შესძლოთ „განუყოფელი რუსეთის“ გმირობიდან, საქართველოს სუვერენობის გმირობამდე

ამაღლდეთ. საქართველოს ისტორიაც სულ სხვა იქებოდა, ვიდრე დღეს არის, თქვენი ენერგია, ზრახვანი და თავგანწირულობა საქართველოს სამსხვერპლოზე რომ მიგეტანათ ნაციონალისტებთან ერთად და არა ქართ. ნაციონალისტების წინააღმდეგ. მანძილი დიდია, რადგან ... დიდი ძეს კაცით კაცამდის.



ომის პარადოქსი

„ომის საწარმოებლად საჭიროა სამი რამ: ფული, ფული და კი-დევ ფული“, — მოხდენილი ფორმით ამბობდა ნაპოლეონი, მაზედაც ადრე ცნობილ სინამდვილეს, რომ ომის ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს შეადგენს მატერიალური საშუალება.

მაგრამ დიდმა ომმა ნაწილობრივ დაამტკიცა და მომავალი ომი უფრო გაამწივეტებს საწინააღმდეგო დებულებას, რომ ომის საწარმოებლად — არაა საჭირო ფული.

ეს, ერთის შეხედვით, პარადოქსალური დაპირისპირება აღვილად გასაგები ხდება, როცა შევნიშნავთ ორ გარემობას, ერთს ძველსა და ერთს ახალს:

ა). რამდენადაც უკან დავიხევთ ისტორიაში, ნათლად წარმოგვიდგება, რომ საქონლის ტრიალი უფრო და უფრო ნაკლებად ითხოვს ფულის ტრიალს, როგორც გაცვლის საშუალებას და საქონელი იცვლება უშუალოდ საქონელზედვე. აქედან ომიც თავისი მატერიალური მხარით, ნაკლებად მხარჯავია ფულისა.

ბ). მეორე გარემოება ახალი ფორმაციისა არის. წინად თუ თვით ფულის (ვთქვათ ქალალდისა) ლირებულება დამყარებული იყო, მაგალითად, ოქროზედ (ან სხვა რამ ლითონზედ თუ საგნობრივ სიმდიდრეზედ) და აქედან ქვეყნის, სახელმწიფოს თუ ერის სიმდიდრის საზომად შეიძლებოდა მიეღოთ ფულის ფასი, დღეს, ამა თუ იმ ქვეყნის სიმდიდრეს არა თავისთავად არაფრის მანქანა ოქრო, არამედ შრომის, ენერგიის მაქსიმალურ რაციონალობით გამოყენების უნარიანობა შეადგენს.

ფული თავისთავად არ უმატებს არც ცალკე ადამიანს — ჭიუას, მორალს, ნებისყოფას და არც ქვეყანას, ერს — ლირებულებათა შექმნაში, მშევიდობიანობის დროს და არც, მით უფრო, ამ ლირებულებათა დახარჯვაში — ომის დროს, საცა იჭიმება ადამიანის, ერის მთელი ფიზიკური, სულიერი, გონიერივი თუ ნებისყოფის პოტენციალი. ადამიანი სწირავს სიცოცხლეს თავის სამშობლოს, ე.ი. უმაღლეს ლირებულე-

ბას, და, — სახელმწიფოს, ერის უნარიანობაზედაა დამოკიდებული ამ თავგანწირულობის რაციონალური ორგანიზაცია — უფულოდ.

დიდი ომის დასაწყისში, მთელი ქვეყნის ეკონომისტები და ფინანსისტები ამტკიცებდნენ, რომ „თანამედროვე ომი 3—4 თვეზედ მეტს ვერ გასტანს, რადგან ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აუვა ეკონომიურ ღირებულებათა საშინელ ფლანგვას“. ომმა გასტანა 3—4 წელიწადი და, მაშასადამე, ეკონომისტები და ფინანსისტები შესცდნენ თორმეტჯერად. ეხლა, როცა ომის სუნი თითქო კვლავ დატრიალდა, ეკონომისტები, ფინანსისტები და სახელმწიფო მოღვაწენი კვლავ ამ შეცდომას იმეორებენ და მოწინააღმდეგე მოღვაწეებს ემუქრბიან: ჩვენ უფრო მეტი მიღიარდები გვაქვს, მეტს ვხარჯავთ და დავხარჯავთ და თქვენი ოხტიდან ამოვალთო.

რამდენად შესაფერია ეს სინამდვილესი?

მშვიდობიანობის დროსაც, არამც თუ ომის დროს, აღამიანი არა სჭამს ოქროს, არ ისვრის ვერცხლს, არ იბრძვის ფულით და თუ მას, საომარ მდგომარეობაში, სახელმწიფო აწვდის სანოვაგეს, იარაღს, ამუნიციას და ყველაფერს, რაც საჭიროა, მისთვის ფულის საკითხი — მეორე, მესამე ხარისხოვანი ხდება.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ომში (დიდშიაც და ნამეტნავად მომავალში) ჩატრეულია მთელი ერი (და არა მარტო ჯარი), ადვილად წარმოიდგენთ, რომ ცალკე აღამიანის ზემოაღწერილი მდგომარეობა — ვრცელდება მასების უმრავლესობაზედ და ამით ფულს უფრო ეჭარგება თავისი მნიშვნელობა (სანოვაგეზედ, იარაღზედ, ამუნიციაზედ და სხვ. ის არაფერსა ხარჯავს. და ერთმა თუ არ დახარჯა, ვსთქვათ, ასი ფრანკი, მიღიონი არ დახარჯავს ას მიღიონ ფრანკს).

ამასთან, ცნობილია, თანამედროვე ომში რომ ერთმა ჯარისკაცმა იჯარისკაცოს, ე. ი. იომოს და თავის ფუნქცია შეასრულოს, საჭიროა მისთვის 10 — 15-მა მუშამ იმისათვის იმუშაოს (იარაღისა, ამუნიციისა, სანოვაგისა და სხვ. დასამზადებლად), მაშასადამე ერთმა მიღიონმა ჯარმა რომ იბრძოლოს, სჭიროა მისთვის 10—15 მიღიონი მუშა მუშაობდეს იმავე დროს. ეს მუშებიც ხვდებიან, თანამედროვე კანონების ძალით, — მობილიზაციაში, ე.ი. ხდებიან სახელმწიფო მოვალეობის მომხდელნი ისევე, როგორც ჯარისკაცები და სახელმწიფო უნდა იზრუნოს მათზე ისევე, როგორც ჯარისკაცებზედ და მიაწოდოს ყველაფერი, რაც შეაძლებინებს თავის ფუნქციის შესრულებას. აქედან, უფრო დიდი ჯამი ფულის საჭიროებისა, მაშასადამე, გამორიცხული ხდება, ერთი ათად, თხუთმეტად.

უფრო ადვილად რომ წარმოვიდგინოთ, ავილოთ ერთი რომელიმე სახელმწიფოს მაგალითი და ეს სურათი დაახლოვებით იგივე იქნება ყველასათვის. გერმანია შესდგება ოთხმოცი მიღიონი გერმანელისაგან: თანამედროვე საომარი ტეხნიკის მიხედვით, მაშასადამე, მას



არ შეუძლიან გამოიყვანოს ბრძოლის ასპარეზზე დაახლოვებით, რვა მილიონი ჯარის მეტი (მაქსიმალური დაჭიმვით) და რომ ამ ჯარმა იბრძოლოს, დანარჩენი, დაახლოვებით 72 მილიონი, უნდა ჩაბმული იყოს საომარ მუშაობაში.

რად სჭირდება ამ მთელ ერს ფული, როცა იგი თავის მოვალეობას ასრულებს და ამ ფუნქციის ასრულებისათვის საჭირო, — ყველა-ფერი ეძლევა „სახელმწიფოსაგან“... უფულოდ, უფასოდ! ვის და რისთვისლა სჭირია ფული, როდესაც მეურნეს, მექარხნეს, მუშას, მოხელეს თუ ჯარისკაცს ეძლევა ყველაფერი, რაც სჭირია და მოეთხოვება ყველაფერი — რისაც ვალდებულია? საჭირო ხდება მხოლოდ განაწილების ორგანიზაცია, რასაც ჩვეულებრივ ასრულებენ სხვა და სხვა ხარისხის წვრილი და მსხვილი მაშუალები... რომელნიც ამ ფუნქციას, ომის დროს, შეასრულებენ როგორც მოვალეობას.

რჩება საკითხი, ადამიანს შეუძლიან თუ არა ავიდეს იმ ეროვნულ სახელმწიფოებრივ შეგნებამდე, რომ პირადი მოგების, დაწინაურების, ჯილდოს მიღების და ათასი სხვა „ეგოისტური“ მოთხოვნილება, საერთოს დაუქვემდებაროს — უსასყიდლოდ? გერმანელმა ხალხმა ეს დაამტკიცა დიდი ომის დროს. და სხვა ევროპიელმა ერებმაც ნაწილობრივ.

მომავალ შეტაკებაში, ამრიგად, ნაკლები მნიშვნელობა ექნება ფულს და უდიდესი — ორგანიზაციას და ნაპოლეონის ფორმულას... ისტორიული მნიშვნელობა ღა შერჩება.

რაღა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე სქემატიურად და სადათ არ გადაწყდება ომში ფულის საკითხი, მაგრამ თავის ძირითადი, არსებითი, მასიური მხარით, ფულს მნიშვნელობა დაეკარგა — გამარჯვების ორგანიზაციაში და შინ განთავისუფლებული ფული მოხმარდება გარედან შემოსატან მასალას.

სახელმწიფო მანქანის მოძრაობაში ფული მუდამ თამაშობდა როლს — ცხიმისას, იყო — ერზაცი, მაგრამ დღეს, როცა ომი გახდა არა პროფესიონალების შეტაკება, არამედ მთლად ერებისა, საყოველთაო მობილიზაციით მთელი მოსახლეობისა, როცა ომში უნდა გამოვიდეს, არა მარტო „ქუდზე კაცი“, არამედ მანდილოსანიც, კაცობრიობა უბრუნდება თითქო იმ პირველყოფილ მდგომარეობას, როცა რომელიმე პატარა ტომს სრულებით არა სჭირდებოდა ფული, რომ აელო შუბი, მშვილდისარი, ხმალი და მეზობელ ტომს დარეოდა. ცხიმის როლს მაშინაც ასრულებდა და ეხლაც შეასრულებს უკვე ერზაცი — ფული კი არა, არამდ ნამდვილი მამოძრავებელი ძალა, წმინდა ცხიმი — ადამიანის და ერის შეგნება და ნების ყოფა. შეგნება ეხლა უფრო მეტია, ამაღლებულიც და ნების ყოფა გამოიხატება — ორგანიზაციის რაციონალურ უნარში. გაიმარჯვებს არა ის, ვისაც მეტი ფული აქვს, არამედ ის, ვისაც ფული ნაკლებად დასჭირდება.

ჩართული სპორტი საურანგეთში

შემთხვევით გავიარე ქალაქ „მონტ-დორე“ში, იყო „გრანდ სე-მენ დე მონტ-დორ“, შეჯიბრი ზამთრის სპორტისა, სადაც შევიტყე, რომ ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

მოვნახე მათი მისამართი, ვინახულე ჩვენი მოვარჯიშები და აგ-რეთვე გავიგე რომ არსებობს ნაწილი ქართული სპორტისა, რომელ-საც განაგებს ბ. გ. კალანდარიშვილი. როგორც ვიცით უცხოეთში იმ-ყოფება მხოლოდ ორი მწვრთნელი ძველი „შევარდენისა“: გ. კაბა-ბერი და გ. კალანდარიშვილი. უკანასკნელი ხელმძღვანელობს ზამთ-რის სპორტს, რომელსაც ძველი შევარდენის წესი და ტრადიცია არ დავიწყებია და მის ჯგუფში სუფევს „შევარდენის“ დისკიპლინაც.

ქართველებს გარდა, ფრანგის ახალგაზრდობაც და უცხოელი სტუდენტობა სორბონის უნივერსიტეტიდან ბევრი ჰყავს.

რადგანაც სპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველა ქართველი მოვალენი ვართ ხელი შეუწყოთ და გავათართოვოთ ქართული სპორ-ტი.

მიიღება ხელის მოწერა 1939 წლის უურნალ

„ კ ა ვ კ ა ს ი ა “ -ზედ

წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

უურნალი მიზნად ისახავს კავკასიის უცხო ოკუპაციისაგან განთავისუფლებას და კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას კონფედერაციის საფუძველზედ.

ფიქრობს რა უურნალი, რომ კავკასიის პოლიტიკური დამო-უკიდებლობის და კულტურულ - ეკონომიკური წინსვლის უზ-რუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს საფუძველზედ, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ სოლიდარობის ნიაღაგზედ. იგი გაუწევს მედგარ ბრძოლას ყვე-ლა ანტიეროვნულ ძალას და ყველაზედ უწინარეს ინტერნაცინალიზმსა და მარქსიზმს ბოლშევიკური სახით იქნება იგი გა-მოსახული თუ მნშევიკური.

გამოწერის პირობები :

1 წლით	6 თვით	3 თვით
საფრანგეთში 36 ფრ.	18 ფრ.	9 ფრ.
უცხოეთში 38 ფრ.	19 ფრ.	9 ფრ. 50

რედაქციის მისამართი :

Mr. Joseph Gvaramadzé 73, rue Froidevaut, Paris 14°.